ოლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. [illegible]
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 14—76.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—11.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—11.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 8.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო ფ ნცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 250 სამშაბათი, 30 ოქტომბერი 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 400.000 მან. № 250

დ ღ ი უ რ ი

პოლონეთში რკინის გზელთა გაფიცვა მოედო სხვა დარგებსაც. მთავრობა გაფიცულთა წინააღმდეგ სასტიკ ზომებს ღებულობს.

იტყობინებიან, რომ კუნძულ კორფუზე დაიწყო აჯანყება ბერძნების ხელისუფლების წინააღმდეგ.

შტრეზემანის მთავრობა ემუქრება წითელ საქსონიას და მოითხოვს მუშურ-გლეხური მთავრობის გადაყენებას.

გერმანიის თითქმის ყველა რაიონებში მოედო საერთო გაფიცვის ტალღა, რომელსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები.

საფრანგეთის მთავრობამ იცნო სეპარატისტების მიერ გამოცხადებული „დამოუკიდებელი" რესპუბლიკა.

გაზეთ „კომუნისტი"-ს კანტორისაგან

რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული.

კანტორა ამით აცნობებს ყველა ხელის მომწერლებს, რომ ნოემბერში გაზ. „კომუნისტ"-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები:

თვიური ხელის მოწერა ტფილისში შინ მიტანით . . .	11.000.000 მან.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის	11.500.000 მან.
კოლექ. ხელის მოწ. მხოლოდ მუშებ.	8.000.000 მან.

ჟურნალ „ნიანგი"-ს ფასები:

თვიური ხელის მოწერა ყველასათვის	2.000.000 მან.
ერთი ეგზემპლიარი . . .	1.000.000 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს ხვედრი ფული თავის დროზე შემოიტანონ, ვინაიდან **გაზეთი ნისიათ არავის გაეგზავნება.**

დღეს, 30 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე,

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა

ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

ს. ს. ცაკის მდივანი **ხაზაშვილი.**

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი, წინადადებას აძლევს ყველა რაიკომებს, რომ 2 ნოემბერს,

ერთიან პარტიულ დღეს

უჯრედების ღია კრებებზე წითელ არმიელთა ნაწილების თანადასწრებით დასმულ იქნეს დღის წესრიგში საკითხი

ოქტომბრის რევოლიუციის მე-6-ე წლის თავის შესახებ

მასალებათ გამოყენებული იქნეს რ. კ. პ ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის თეზისები.

ტფ. კომიტეტის მდივანი: **რუბენი.**

საბჭოთა არჩევნებისათვის

როგორც ამას ადგილი აქვს საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, საქართველოშიც დაიწყება მომავალი პირველი ნოემბრიდან არჩევნები მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოებში. საქართველოს მშრომელი ხალხი მოწოდებულია განაახლოს შემადგენლობა ჩვენი ხელისუფლების ორგანოების.

განსაკუთრებულ პირობებში უხდება წელს საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს ამ არჩევნების ჩატარება. მთელი ევროპა და წი[illegible] რესპუბლიკების კავშირი დგანან მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ამბების მოლოდინის ნიშან ქვეშ. მთელი რიგი ამ ფრიად დამახასიათებელი მოვლენების უეჭველოთ ხდიან იმ გარემოებას, რომ ევროპაში მზადდება პირობები ახალი საომარი შეჯახებების, რომ ძალთა წონასწორობა, რომელიც დამკვიდრებული იყო დღემდე საბჭოთა სახელმწიფოებსა და დანარჩენ ბურჟუაზიულ მსოფლიოს შორის, ეს წონასწორობა აღნიშნავს უკვე ერთნაირ მოუსვენრობას და გარკვეულ ტენდენციას თავის დარღვევისაკენ. მოხდება წონასწორობის ასეთი დარღვევა ფაშიზმის გამარჯვებით გერმანიაშიც, თუ რევოლიუციის ძლევამოსილი მსვლელობით ამავე ქვეყანაში ან მის მეზობლათ მდებარე რამოდენიმე სხვა სახელმწიფოებშიც—ფორმალურათ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, ჩვენ ვდგებით ყველა ჩვენი ძალების მობილიზაციის საჭიროების წინაშე და სწორეთ ჩვენი პოლიტიკის ეს საგარეო ფრონტი განსაზღვრავს დღევანდელ მომენტში შინაური მუშაობის ხასიათსაც.

ჩვენ, რასაკვირველია, არასოდეს არ ვყოფილვართ ომის, ხოცვა-ჟლეტის, მოციქულები. მშვიდობიანი მუშაობა—ეს არის მთელი შინაარსი ჩვენი პრაქტიკული პროგრამის. და ყველამ იცის, გარდა ძალათი დაყრუებულ-დაბრმავებულებისა ან შარლატნებისა, რომ ყოველ ფეხის გადადგმაზე, ჩვენ ყოველდღიურ პრაქტიკაში, ამას ვუმტკიცებდით როგორც მეგობრებს, ისე მტრებს.

მაგრამ კავშირს ცხოვრება უხდება „მოუსვენარ" დროში. ჩვენ წინააღმდეგ ყოველთვის შესაძლებელია აღიმართოს მთელი ტყე ხიშტების. ასეთი პერსპექტივა გარკვეულათ ისახება ჩვენი ქვეყნებისათვის და მისთვის მზადებამ უნდა დაიკავოს ჩვენი შემოქმედებითი ძალების უმნიშვნელოვანესი ნაწილი. აქედან ცხადია, რომ ყოველისფერს, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური ცხოვრების აღმშენებლობას, ჩვენ უნდა მივუდგეთ მიმდინარე მომენტის, უკეთესათ რომ ვთქვათ, მიმდინარე დროის ამ უმთავრესი ამოცანის თვალსაზრისით.

საბჭოებში ჩვენმა მშრომელმა მასსებმა კვლავ გაგზავნონ უნდა წარმომადგენლები იმ პარტიისა, რომელმაც საქმით დაამტკიცა არა მარტო თავდადებულება ბრძოლებში, არამედ ცხოვრების აღორძინებისათვის საჭირო მუშაობის უნარი და შესაძლებლობაც, გაგზავნონ წარმომადგენლები იმ პარტიის, რომელიც შესძლებს (რადგან აქვს ამის გამოცდილება და გამბედაობა) წინააღუდგეს იმპერიალისტურ რეაქციას, დაიცვას რევოლიუციის მონაპოვარი მთელს კავშირში, კერძოთ საქართველოში, ხელი შეუწყოს ბრძოლას ამ იმპერიალისტებთან მსოფლიოს მასშტაბში. გაძლიერება და განმტკიცება საბჭოთა ორგანოების და მთელი სახელმწიფოებრივი სისტემის, მობილიზაცია ყველა ძალების, მთელი ენერგიის, მზათ ყოფნა თავის დასაცავათ შესაძლებელ შემოსევისაგან—აი რა უნდა მოვახერხოთ ჩვენ. ეს კი შესაძლებელია კომუნისტური საბჭოების გამობრძმედილ რევოლიუციონერებისაგან შემდგარ ხელისუფლების ორგანოების საშუალებით.

ჩვენი მშრომელი ხალხი, რომელსაც შეგნებული აქვს სირთულე ჩვენი დროის, შეგნებული აქვს ინტერესები რევოლიუციის ე. ი. თავისი საკუთარი ინტერესები, ხმას მისცემს კომპარტიის კანდიდატებს, აირჩევს კომუნისტურ საბჭოებს.

ვინ არიან ფაშისტები?

II

ვინ არიან ფაშისტები? საიდან და რომელ ქვეყანაში დაიწყო მათი მოძრაობა პირველათ? იტალია კლასიკური ქვეყანაა ფაშიზმის.

თვით სიტყვა ფაშიო—იტალიურია და ნიშნავს ერთ მოაზროვნე ადამიანთა კავშირს. ფაშიზმს საერთოდ, და კერძოთ იტალიურ ფაშიზმს, დიდი ხნის ისტორია არა აქვს. იტალიაში ფაშისტების მოძრაობას საფუძველი ჩაეყარა 1915 წ. ამ მოძრაობას თავიდანვე ხელმძღვანელობდა ცნობილი **მუსოლინი,** ყოფილი გამოჩენილი სოციალისტი, რომელიც ლა ფაშისტური მთავრობის თავმჯდომარეა. ფაშისტები იმ ხანებში თავის თავს სოციალისტებს უწოდებდენ და „სოციალისტურ" გაზეთსაც კი სცემდენ. 1919 წ. მათ სამუდამოთ პირი იბრუნეს სოციალიზმისაგან ჩამოიხსნეს რა სოციალისტური ნიღაბი და იწყეს რა ქადაგება სამშობლოსა და კლასთა შერიგების შესახებ. ფაშისტებმა სწრაფათ იწყეს გაძლიერება 1920 წლიდან, როდესაც იტალიაში მუშათა აჯანყებები დამარცხდა.

იტალიის კომუნისტურმა პარტიამ მიწის საკითხში დაუშვა შეცდომა და ამ შეცდომით მოხერხებულათ ისარგებლეს ფაშისტებმა. მთელი პოლიტიკა მიმართეს იმათ იქითკენ, რომ დაეპყროთ ფართე მასსები, დაეყენებიათ ისინი თავისი გავლენის ქვეშ და ამისათვის არ ერიდებოდენ არავითარ საშუალებებს. მუშათა დამარცხების შემდეგ მუშათა ერთი ნაწილი (ჩამორჩენილი) სასოწარკვეთილებას მიეცა და წამოეგო ფაშისტების მიერ გადმოსროლილ ანკესზე. ისინი ხალხს აჩვენებდენ თავს, როგორც უკიდურეს რევოლიუციონერები. ამრიგათ ფაშისტებმა შესძლეს შემოეკრიბათ თავის ირგვლივ ფრიად ჭრელი მასსა შეუგნებელი მუშების, ლუმპენ-პროლეტარების, სოფლის კულაკების, ოფიცრების და, რაც მთავარია, ბურჟუების და მემამულეების სახით. შექმნეს რა ამნაირი საშუალებით „მრავალრიცხოვანი", ორასი ათასიანი პარტია, შეუდგენ „მოღვაწეობას". მათ შეადგინეს თავიანთი რაზმები. რაზმებში ვინც ჩაეწერებოდა, იმას კარგი ჯამაგირი ეძლეოდა. ფაშისტური ბრბოები კარგა ხანს თავისუფლად დათარეშობდნენ იტალიაში, ძარცვავდენ მოქალაქეებს, სწვავდენ სახლებს, არბევდნენ ფაბრიკა-ქარხნებს, სდევნიდენ კომუნისტებსა და ყველა რევოლიუციონერებს. მთელი იტალია დააყენეს ფაშისტებმა თავისი ტერორის ქვეშ. იტალიის მთავრობა კი არავითარ ზომებს არ იღებდა მათ წინააღმდეგ. შავბლუზიანები (ასე ეძახიან ფაშისტებს იტალიაში, რადგან ატარებენ შავ ბლუზას) გახდნენ ქვეყნის ფაქტიური ბატონ-პატრონნი. ბოლოს, თითქმის უსისხლოთ, ფაშისტებმა ჩამოაგდეს იტალიის მთავრობა და თავისი დიქტატურა გამოაცხადეს. იტალიის ბურჟუაზია სრულებით არ იყო წინააღმდეგი ფაშისტების გაბატონების.

ასე, მაგალითად, როდესაც მუსოლინი, ფაშისტების მეთაური, გამოეცხადა იტალიის მეფეს, მან უთხრა მუსოლინს: „მე თქვენ დიდი ხანია გელოდითო!" ეს სიტყვები აშკარა დამამტკიცებელია იმის, რომ ფაშისტები ბურჟუაზიის დიქტატურის განმახორციელებელნი არიან და რომ მათ დღეს სიხარულით ეგებება ყველა ქვეყნებში მხოლოდ ბურჟუაზიული წრეები. ეხლა ჩვენთვის საჭიროა გაგება იმის, თუ ვისგან შესდგება ფაშისტების რიგები, როგორია მათი სოციალური შემადგენლობა. ეს სინათლეს მოფენს ფაშიზმის შინაარსს და მისწრაფებებს. 1921 წ. ნოემბრის ცნობებით, ფაშისტების პარტიის 151.644 წევრიდან იყო:

ვაჭრები	13 838 კაცი.
მექარხნ.-ფაბრიკანტ.	4.269 „
მემამულეები	18.084 „
მოწაფეები, მასწავლებლები, მოსამსახურეები და ლიბერალური პროფესიის პირები	53 641 კაცი.
ს უ ლ	89 832 კაცი.

ამავე დროს ფაშისტების პარტიაში იყო:

სამრეწველო მუშები	23 418 კაცი.
მეზღვაურები	1.506 „
სასოფ.-სამეურნეო მუშ.	33 847 „
ს უ ლ	58.771 კაცი.

ეს ციფრები მეტად საინტერესოა იმ მხრივ, რომ იძლევა ნამდვილ სურათს ფაშისტური ჭრელი ჯოგისას, ამ პარტიაში შედიან ყველა კლასების წარმომადგენლები, **მაგრამ ძირითადი მასსა, უმრავლესობა მაინც ბურჟუა-მემამულეებისაგან შესდგება** (89.832 კაცი). მაინც საკვირველია: რატომ ამდენი მუშები იყვნენ 1921 წ. ფაშისტების პარტიაში? ამაზე პასუხის მიცემა ძნელი არ არის. ერთი რომ სასოფლო სამეურნეო მუშები ეს გუშინდელი გლეხები არიან, ომის ხანაში გაღატაკებულნი, ე. ი. იმათი ნამდვილ მუშებათ ჩათვლა არ შეიძლება. რაც შეეხება ქალაქის მუშებს, იმათი მხოლოდ შეუგნებელი ნაწილი პლიუს ლუმპენ-პროლეტარები მიჰყვებიან ფაშისტებს. პირველნიც და მეორენიც გადაეჩეხენ ფაშისტების ბანაკში დროებით, ჩვენი იტალიური პარტიის ზემოაღნიშნულ შეცდომის გამო და აგრეთვე აჯანყების დამარცხების ნიადაგზე გამოწვეული რეაქციის გამო. ყოველ შემთხვევაში **ფაშისტების ორგანიზაციები ბურჟუაზიის და მემამულეების ორგანიზაციებია თავისი დიდი უმრავლესობით, თავისი სოციალური პოლიტიკით.** სხვა ქვეყნებში ფაშისტებს მუშები სრულებით არ მიჰყვებიან. ამ ბოლო ხანებში იტალიაშიც დაეტყო მათ დიდი გამოფხიზლება.

ქ. ორაგველიძე.

წერილები მოსკოვიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გლეხთა პირველი საერთაშორისო კონფერენცია

15 ოქტომბერს მოსკოვში დამთავრდა თავისი მუშაობა გლეხთა პირველმა საერთაშორისო კონფერენციამ. კონფერენციას დაესწრნენ: ამერიკის, გერმანიის, საფრანგეთის, შვეციის, მექსიკის, ნორვეგიის, ესტონიის, ვენგრიის, პოლონეთის, ფინეთის, იაპონიის და საკავშირო საბჭოთა რესპუბლიკების გლეხების წარმომადგენლები. ამერიკიდან კონფერენციას დაესწრო შეერთებული შტატების ფერმერების პარტიის პრეზიდენტი და გერმანიიდან წვრილი გლეხობის კავშირის თავმჯდომარე.

კონფერენცია გაიხსნა 10 ოქტომბერს კრემლში. განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1) მშვიდობიანობის უზრუნველყოფა და ომის წინააღმდეგ ბრძოლა; 2) გლეხობის მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში; 3) რუსეთის აგრარული რევოლიუციის შედეგები და საბჭოთა რესპუბლიკების გლეხობის მდგომარეობა; 4) სასოფლო კოოპერაცია კაპიტალისტურ ქვეყნებში; 5) სასოფლო კოოპერაცია საბჭოთა რუსეთში; 6) გლეხობის დამოკიდებულება მუშათა კლასთან და 7) საერთაშორისო კავშირი.

მშვიდობიანობის უზრუნველყოფის და ომის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა საფრანგეთის გლეხობის წარმომადგენელმა ამხ. ვაზეიმ. მან თავის თეზისებში აღნიშნა, რომ გასული იმპერიალისტური ომი დათავდა არა ნამდვილი, არამედ ძალით ნაკარნახევი ზავით, რაც იძლევა საბაბს აუარებელი კონფლიქტების წარმოშობისათვის. ახლო მომავალში ჩვენ გვიქადის უფრო დიდი ომი, ვიდრე იყო. კაპიტალისტური ქვეყნები მზადებაში არიან ამ ომისათვის. ეს მზადება მთელი თავის სიმძიმით აწვება მუშათა კლასს და გლეხობას. მზადებით გამოწვეული ხარჯების დასაფარავად აუარებელ გადასახადს ადებენ გლეხობას. ომი იწირავს მსხვერპლად გლეხობის ჯანღონით სავსე ნაწილს—ახალგაზრდობას და იწვევს სოფლის მეურნეობის დანგრევას. ომების მოსასპობათ არ კმარა მარტო ძახილი „ძირს ომი". საჭიროა მოსპობა მისი წარმომშობი ერთად ერთი მიზეზის—კაპიტალისტური წესწყობილების.

ბურჟუაზია ცდილობს გამოიყენოს გლეხობა თავის სასარგებლოთ და დაუპირდაპიროს ის მუშათა კლასს. ის აწყობს გლეხებს შორის სხვა და სხვა ორგანიზაციებს, უმეტესათ კულაკებში და უვიც გლეხობაში. გლეხობამ უსათუოდ თავი უნდა დააღწიოს მდიდარი კლასის გავლენას და ჩამოშორდეს მის ორგანიზაციებს. უნდა მოეწყოს მშრომელი გლეხობის საერთაშორისო კავშირი, რომელმაც მჭიდრო დამოკიდებულება უნდა დაიკავოს მუშათა კლასთან. მხოლოდ მუშათა და გლეხთა მთავრობების ყველა ქვეყნებში შექმნას შეუძლია [illegible] ზავი.

ამხ. ვაზეის თეზისები კონფერენციის მიერ ერთხმად იქნა მიღებული. მასთან ერთად მიღებული იქნა ფრანგ დელეგატების წინადადება, რომელიც მოუხმობს გლეხობას შეკავშირებისაკენ და მუშათა კლასთან ერთად აქტიური ხელის შეშლისაკენ ომის გამომწვევ ყოველგვარ ცდისათვის.

შემდეგ მოხსენებაში ამხ. ვარგმა კონფერენციას გააცნო ის მდგომარეობა, რომელსაც განიცდის გლეხობა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევათ ზოგიერთ ქვეყნებში გლეხობამ სცადა ხელისუფლება დაპატრონებოდა, მაგრამ უმეტეს ნაწილათ ეს უნაყოფოთ დამთავრდა, რაც ამტკიცებს მას, რომ მუშათა კლასთან კავშირის გარეშე გლეხობა უძლურია. მდიდრების კლასი ყოველ ზომებს ხმარობს არ დაუშვას კავშირი მუშათა და გლეხთა შორის. სხვადასხვა პროვოკაციული ზომებით ის ცდილობს მათ შორის უთანხმოება ჩამოაგდოს. მაგალითად, სიძვირის მიზეზების შესახებ გლეხობას უხსნიან, რომ სიძვირის შემქმნელი მუშები არიან, რომელნიც არ მუშაობენ როგორც რიგია; მუშებს კი უუბნებიან, რომ გლეხობა აძვირებს თავის ნაწარმოებს და ამით ყველაფერი ძვირდება. გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მუშათა და გლეხთა შეკავშირებული ძალა ბოლოს მოუღებს ყოველგვარ ჩაგვრას.

მუშების და გლეხობის დამოკიდებულების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. დომბალი, მან მიუთითა იმ მნიშვნელობაზე, რომელიც აქვს გლეხთა ამ პირველ საერთაშორისო კონფერენციას, რომელსაც ესწრება ორმოცი ქვეყნის წარმომადგენელი სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფებიდან, რომელთა შორის კომუნისტებს მცირეოდენი ადგილი უჭირავს. კონფერენციით იწყება ახალი ხანა ისტორიაში, ხანა მუშების და გლეხობის კავშირისა. გლეხობის უმეტესი ნაწილი, მცირეოდენი კულაკების გამონაკლისით, იმყოფება აუტანელ მდგომარეობაში. გასულმა ომმა იმსხვერპლა 10 მილიონი და 20 მილიონი დაასახიჩრა. ამ რიცხვში უმეტესი ნაწილი გლეხობას ეკუთვნის. კიდევ დიდი ომის წინ ვდგევართ. კაპიტალისტური ქვეყნები დღითი დღე ზრდიან შეიარაღებულ ძალებს და უმეტესი ნაწილი მათი ბიუჯეტისა ამაზე მიდის. გლეხობამ უნდა შეიგნოს, რომ ომს მოსპობს მხოლოდ კაპიტალისტური წესწყობილების დამხობა. ამიტომ გლეხობას და მუშებს ერთი მიზანი აქვთ. გლეხთა პირველმა კონფერენციამ უნდა მიმართოს ყველა ქვეყნის გლეხებს მუშებთან ერთად დაიწყონ ბრძოლა კაპიტალისტების და მემამულეების წინააღმდეგ. კონფერენციის ლოზუნგათ უნდა გახდეს: „გლეხებო და მუშებო მთელი ქვეყნისა, შეერთდით". ამხ. დომბალმა შეიტანა წინადადება კონფერენციაზე მოწყობილი იქნას გლეხთა საერთაშორისო საბჭო. კონფერენციის მიერ ამხ. დომბალის წინადადება მიღებული იქნა.

16 ოქტომბერს მოხდა დიდ თეატრში საზეიმო სხდომა, სადაც საფუძველი ჩაეყარა გლეხთა საერთაშორისო ორგანიზაციის—საერთაშორისო საბჭოს შექმნას. საბჭოში ამორჩეული იქნა 53 წევრი. საბჭოს პრეზიდიუმში შევიდნენ: სმირნოვი (რუსეთიდან), დომბალი (პოლონეთიდან), ბირგი (გერმანიიდან), ვაზეი (საფრანგეთიდან), რიდლო (ჩეხო-სლოვაკიიდან), გოროვი (ბოლგარეთიდან), ხერრო (სკანდინავიიდან), გრინი (ამერიკიდან), გალვანი (მექსიკიდან), ნაიასო (იაპონიიდან) და აი-კვანი (ინდოეთიდან).

საბჭოს პირველ სხდომაზე ამორჩეული იქნა გენერალური სამდივნო სმირნოვისა და დომბალის შემადგენლობით. გადაწყვეტილი იქნა ყოველთვიური და ყოველწლიური ჟურნალის გამოცემა, მოსკოვში აგრარული ინსტიტუტის შექმნა, რომლის მიზანი იქნება გლეხობის მეურნეობის გაკულტურება. საბჭოს სხდომაზე საფრანგეთის, შეერთებული შტატების და გერმანის შეკავშირებული გლეხების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათი კავშირი შეუერთდება გლეხთა საერთაშორისო საბჭოს.

კონფერენციის მიერ მიღებული იქნა დებულება გლეხთა საერთაშორისო საბჭოს შესახებ. დებულება შეიცავს შემდეგს: მემამულეების და კაპიტალისტებისაგან გლეხების განმათავისუფლებელ ბრძოლის გაძლიერება; მთელი ქვეყნის გლეხების ინტერესების დაცვა და მათი მეურნეობის აღორძინება; მუშათა და გლეხთა კავშირის მოწყობა და „მუშა-გლეხთა მთავრობის" ლოზუნგის განხორციელება. გლეხთა საერთაშორისო კონგრესი იკრიბება ორ წელიწადში ერთჯერ და კიდევ რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევების დროს. საბჭო იკრიბება წელიწადში ერთჯერ. კონფერენციის მიერ გამოქვეყნებული იქნა ორი მოწოდება: ყველა ქვეყნების მშრომელ გლეხობის მიმართ და კოლონიის გლეხების მიმართ. ამას გარდა გამოქვეყნებულ იქნა პოლონეთის გლეხ-დელეგატების ცალკე მოწოდება, სადაც ნათქვამია, რომ პოლონეთის ბურჟუაზიას სურს ითამაშოს ჟანდარმის და ჯალათის როლი გერმანიის რევოლიუციაში, რისთვისაც პოლონეთის გლეხების დელეგატები მოუხმობენ პოლონეთის გლეხობას თავის ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

ხ. გ.

მოსკოვი, 19 ოქტ.

სამოქალაქო ომი გერმანიაში

(„ზაკროსტა"-ს ცნობები).

ბრძოლა ერთიანი ფრონტისათვის

ბრძოლა ორგანიზაციულ ხასიათს ღებულობს.

ბერლინი. 27 ოქტომბერი. პოტში შესდგა მოქმედების ცენტრალური კომიტეტი, რომელშიაც შედიან პროფკავშირების, სოციალ-დემოკრატების და კომპარტიის წარმომადგენლები. რუდოლფშტატში, ეიზენახში, ერფურტში და სხვა ქალაქებში საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა აზრი გამოსთქვეს გამოცხადებულ იქნეს საერთო გაფიცვა.

ჰერაში, ეიზერგში და ცეილცში შესდგა მოქმედების კომიტეტები, რომლებშიაც შედიან კომპარტიისა და სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლები.

დრეზდენის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების რეზოლიუცია.

ბერლინი. 27 ოქტომბერი. დრეზდენის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების 5.000 წარმომადგენლების კრებამ ცეიგნერის მოხსენების გამო მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს, რომ გერმანიის პროფკავშირების ცენტრალურმა ინსტანციამ ნიადაგი მოამზადოს საერთო გაფიცვისათვის. რეზოლიუციაში ნათქვამია: „საქსონიის მუშათა კლასი მოუწოდებს მთელ გერმანიის მუშათა კლასს იბრძოლოს საალყო წესებისა და ბავარიის სახელმწიფო ღალატის წინააღმდეგ და აგრეთვე საერთო-საიმპერიო მუშურ მთავრობის შექმნისათვის".

მოითხოვენ საერთო გაფიცვას.

ბერლინი. 27 ოქტომბერი. ტიურინგიაში პარლამენტის გარეშე კომიტეტი, რომელშიაც შედიან ორივე მუშათა პარტიის და მოსამსახურეების კავშირის საერთაშორისო გაერთიანების წარმომადგენლები, **მოითხოვს მომზადებულ იქნეს ნიადაგი საერთო გაფიცვისათვის.**

იმავე მოთხოვნილებით გამოვიდა სამხრეთ ტიურინგიაში მოქმედების კომიტეტი, რომელშიაც შედიან კომპარტიის, დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატების, პროფკავშირების და სახალხო მასწავლებლების წარმომადგენლები.

გაფიცვების ტალღა

ხელმძღვანელობა კომუნისტების ხელში გადადის.

ბერლინი. 27 ოქტომბერი. **ქალაქ ელფელდში, გრონაუში, ვალენხენში, ებდენსა და ბრემენში საყოველთაო გაფიცვა დაიწყო.** ამ ქალაქებში და აგრეთვე ბრაუნშვეიგსა და დილკენხორსტში (ტიურინგია) **სოციალ-დემოკრატებმა და კომუნისტებმა შექმნეს საერთო მოქმედების კომიტეტები.** კასელში სოციალ-დემოკრატებსა და კომუნისტებს შორის სწარმოებს მოლაპარაკება საერთო ფრონტის შესახებ. **სოციალ-დემოკრატები ენერგიულათ მოითხოვენ, რომ მოძრაობის ხელმძღვანელობა კომუნისტებმა გასწიონ.**

ჰამბურგის მიდამოებში მცირე ბრძოლები გრძელდება, დაპატიმრებულია 7 კომუნისტი—მუნიციპალიტეტის მოსამსახურეები. მათ შორის დაპატიმრებული არიან ტილმანი და ურბანსი. კომუნისტური ორგანო „ჰამბურგერ ფოლქსცეიტუნგ" დახურულია.

კილში დაპატიმრებულია 80 კომუნისტი. კრებები აკრძალულია. გარნიზონი საომარ წესზეა გამზადებული.

ქალაქ ჰინდენბურგში, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონგრესზე, რომელშიაც მონაწილეობდენ კომუნისტები, სოციალ-დემოკრატები და დამოუკიდებელნი, მოლაპარაკება სწარმოებს საგაფიცვო მოძრაობის გაძლიერების შესახებ.

საქსონიაში რეიხსვერმა ფოგტლანდი და ერცე დაიკავა, სწარმოებს მასიური დაპატიმრება. **ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონფერენციები იენასა და გოტში მოითხოვენ საყოველთაო გაფიცვას გამოცხადებას, სოციალ-დემოკრატებიც მიემხრენ ამ მოთხოვნილებას.**

მთელს გერმანიაში მუშები გაფიცვას მოითხოვენ, რასაც პროფკავშირები ეწინააღმდეგებიან. ირჩევა მოქმედების კომიტეტები, რომლებიც აცხადებენ გაფიცვას, მიუხედავათ იმისა, რომ კომიტეტებში მონაწილე სოციალ-დემოკრატები საბოტაჟს ეწევიან გაფიცვის მიმართ. **მრავალ ადგილას გაფიცვას ახორციელებენ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები.**

საყოველთაო გაფიცვა ზემო სილეზიაში.

ბერლინი. 28 ოქტ. **ზემო სილეზიის გერმანელთა ნაწილში სამთომადნო მუშებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს და მოითხოვეს ხელფასის სტაბილიზაცია.**

ჰამბურგის აჯანყების შემდეგ

ჰამბურგის აჯანყების სისხლისმღვრელი შედეგები.

ბერლინი. 27 ოქტ. **წინისწარ ცნობების თანახმად ჰამბურგში აჯანყების ჩაქრობის დროს მოკლულია 65 კომუნისტი.**

გერმანიის კომპარტია დამოუკიდებელ მოქმედებას იწყებს.

ბერლინი. 27 ოქტ. „როტე შტურმფანე" სწერს: „**გერმანიის კომპარტია ცდილობდა კაპიტალის შემოტევისათვის დაეპირდაპირებია ძლიერი პროლეტარული მოქმედება.** მაგრამ **პროფკავშირთა და სოციალ-დემოკრატების წინამძღოლებმა ხელი შეუშალეს გამოსვლებს. გერმანიის კომპარტია არ შეუშინდება დამოუკიდებლად მოუწოდოს მუშათა მასებს გამოსვლებისაკენ,** როცა ისინი დარწმუნდებიან რეფორმისტულ წინამძღოლების არაჩვეულებრივ ღალატში. **პროლეტარიატი ჯერ კიდევ არ არის დამარცხებული,** მემარცხენე და მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიის ღალატმა შეუძლებელი გახადა გაბედული თავდაცვითი მოქმედება.

გერმანიის კომპარტიამ ყოველი ღონე იხმარა პროფკავშირებთან ერთიანი ფრონტის შესადგენად. ამ ჟამად გერმანიის კომუნისტები იძულებული არიან გამოვიდნენ დამოუკიდებლად, მაგრამ ისინი დაეყრდნობიან მთელი პროლეტარიატის ძალებზე.

მთავრობა ემუქრება წითელ საქსონიას

შტრეზემანი მოითხოვს საქსონიის მთავრობის გადაყენებას.

ბერლინი. 27 ოქტომბერი. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ **შტრეზემანმა მოითხოვა საქსონიის მთავრობის გადაყენება,** რადგანაც კომუნისტი-მინისტრები მოუწოდებენ რეიხსვერის წინააღმდეგ მოქმედებისაკენ.

ცეიგნერმა პასუხი უნდა გასცეს კვირას. წინააღმდეგ შემთხვევაში **შტრეზემანი იმუქრება, რომ სათანადო ღონისძიებას მიმართავს.**

ულტიმატუმს, ალბად, არ დააკმაყოფილებენ.

ბერლინი. 27 ოქტომბერი. **შაბათს ღამეს შესდგა საქსონიის კაბინეტის საჩქარო სხდომა,** შტრეზემანის ულტიმატუმის გამო. მიღებული დადგენილება ჯერ გამოურკვეველია. ცხადია, ულტიმატუმის შესრულებაზე უარს განაცხადებენ.

რეიხსვერის პროვოკაციული გამოსვლა.

ბერლინი. 27 ოქტომბერი. **უკანასკნელ დღეებში საქსონიაში გახშირდა რეიხსვერის პროვოკაციული გამოსვლა.** დაატუსაღეს მთავრობის რამდენიმე კომისარი, სამოქალაქო კომისარ მაიერის დაუკითხავად. ამის გამო მაიერი ბერლინში გაემგზავრა ჰესლერთან მოსალაპარაკებლად. ჰესლერმა აღუთქვა, რომ მომავალში, სამოქალაქო კომისრის ნებადაურთველად, არავის დააპატიმრებენ.

„ფორვერტს"-იც კი აღშფოთებულია შტრეზემანის ულტიმატუმით.

ბერლინი. 27 ოქტომბერი. „ფორვერტს"-მა გაილაშქრა შტრეზემანის პოლიტიკის წინააღმდეგ საქსონიის საკითხში.

საქსონიის დეპუტატ კომუნისტის დაპატიმრება.

ბერლინი. 15 ოქტომბერი. საქსონიის დეპუტატი—კომუნისტი შნელტერი დააპატიმრეს.

რეიხსვერი საქსონიაში.

ბერლინი. 27 ოქტომბერი. რეიხსვერი შევიდა ქ. ბორნაში.

შეტაკება ფრეიბერგში.

ბერლინი. 27 ოქტომბ. ფრეიბერგში (საქსონიაში) მუშებისა და მთავრობის ჯარის (რეიხსვერის) შორის შეტაკება მოხდა. მოკლულია 30 კაცი, დაჭრილია ბევრი.

საქსონიის სოციალ დემოკრატიის მოწოდება.

ბერლინი. 27 ოქტომბ. საქსონიის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ მოწოდებით მიმართა გერმანიის მშრომელ ხალხს, რომელშიაც მოუწოდებს მთელ გერმანიის მუშებს, დახმარება გაუწიონ სოციალისტურ საქსონიას. მოწოდება აღწერს რეიხსვერის მოქმედებას და აღნიშნავს, რომ მან შემოიღო „გაროზგვა".

შტრეზემანის „წმინდა სინიდისი"

შტრეზემანის სიტყვა ჰაგენში.

[illegible] საფრანგეთის სამხედრო ახალშენია.

ბერლინი. 27 ოქტომბერი. თავის სიტყვაში, რომელიც მიმართული იყო პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებისა და დაკავებულ ოლქების მოსახლეობისადმი, შტრეზემანმა აღნიშნა, რომ **სეპარატისტები საფრანგეთ-ბელგიის იარაღის შემწეობით ცდილობენ თავისი ხელისუფლების დამყარებას რეინის და გერმანიის სხვა ოლქებში. პუანკარე უარს ამბობს მოლაპარაკებაზე. მიუხედავად თავისი დაპირებისა,** იმის მომიზეზებით, რომ თითქოს გერმანია დახმარებას აძლევდეს დაკავებულ ოლქების მოხელეებს.

გერმანია არასოდეს არ დაადასტურებს [illegible] იძულებით გამოყოფას. ვერსალის ხელშეკრულების შემდეგ **რეინის ოლქი გადაიქცა საფრანგეთის სამხედრო ახალშენათ.** გერმანიის მთავრობას არ შეუძლია მიიღოს საფრანგეთის წინადადება დაკავებულ ოლქების რკინის გზების საფრანგეთის ადმინისტრაციის უწყებაში გადაცემის შესახებ, რადგანაც ეს იქნება უარის თქმა გერმანიის სუვერენიტეტზე.

შტრეზემანმა იმედი გამოსთქვა, რომ დღემდე უნაყოფო მოლაპარაკება მრეწველებსა და საფრანგეთის

პრესა

„მეგობრული რჩევა მემარცხენე სოც.-ფედერალისტებს"

ასეთი სათაურით მოთავსებულია ყოფ. მენშევიკების „საინიციატივო ბიუროს" ორგანო „მოამბე"-ში წერილი ვინმე ნაცნობის. ავტორი აღწერს თუ რა გზა გაიარეს ყოფ. მენშევიკებმა, როგორ დაჰგმეს ძველი ტაქტიკა, მიიღეს ახალი, მოახდინეს თავიანთი პარტიის ლიკვიდაცია და გაერთიანდნენ კომუნისტურ პარტიასთან.

„როცა დავრწმუნდით—სწერს ავტორი—რომ მისი გზა, ხაზი, გეზი, მეთოდი ბრძოლისა სწორი იყო, ჩვენ ის მივიღეთ და შევუერთდით ამ პარტიას. ამ გზაზე დადგა 5 ათასი ახალგაზრდა მარქსისტიც".

მიმართავს რა შემდეგ მემარცხენე სოციალ-ფედერალისტებს, ავტორი სწერს:

> „თქვენ კი ყველაფერი ეს მიიღეთ, მაგრამ მაინც განზე დგეხართ, ცალკე პარტიაში ზიხართ...
>
> ეს არაა ნორმალური მოვლენა...
>
> თქვენი ეხლანდელი ხაზის ლოღიკური დასკვნაც უნდა იყოს კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანება...
>
> თუ დგეხართ პროლეტარიატის დიქტატურაზე, იზიარებთ რ. კ. პ. მე-12 ყრილობის დადგენილებებს ეროვნულ საკითხში, თუ ხართ დარწმუნებული, რომ სოციალისტური რევოლიუციის შტაბი მხოლოდ მე-3 ინტერნაციონალია,—ზედმეტი ბარგია და ერთიანი ფრონტის შექმნის საქმეში ხელისშემშლელია პარალელური პარტიის არსებობა...
>
> ამიტომ ჩვენი მეგობრული რჩევაა:
>
> — გავამაგროთ ის პარტია, რომლის ხაზი გაამართლა ისტორიამ. შეუერთდით თქვენც ამ პარტიას"...

სწორეთ ამ უკანასკნელი აზრით კითხვა დასმულია მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიაში, როგორც ადგილობრივ ორგანიზაციებში, ისე ცენტრში. ეს კითხვა შეიქნება ამ პარტიის მომავალი ყრილობის გარჩევის საგნათ და გვგონია, რომ ის გადაწყდება დადებითად.

* * *

როგორ მოვახერხოთ საქონლის გაიაფება.

ამ საკითხს ეხება სხვათა შორის „საქართველოს სახალხო მეურნეობაც", ყოველკვირეული ორგანო სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი.

გაზეთი აღნიშნავს, რომ საქონლის ფასები დაეცა საგრძნობლად ბაზარზე, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ გლეხს ეს საქონელი ასეთ ფასებში მიუდის. არ არის საკმაო, რომ სამრეწველო დაწესებულებამ ფასები დასწიოს. ჩვენი უმთავრესი მიზანი არის, რომ გლეხმა, მომხმარებელმა, იგრძნოს ეს. ხოლო ეს შეუძლებელი იქნება, სანამ მრეწველობასა და მომხმარებელს შორის „გამოჩხირული" დარჩება კერძო ვაჭარი. საჭიროა ამიტომ კოოპერატიული ორგანიზაციის გაძლიერება.

> „თვალი უნდა გვეჭიროს, რომ ფასების დაკლების დროს საქონელი არ დაგროვდეს სპეკულიანტთა ხელში, რომელნიც შეეცდებიან, ასეთ შემთხვევაში, დრო იხელთონ და ბაზრის ბატონ-პატრონნი გახდნენ... ამის თავიდან აცილება შეიძლება, თუ გაძლიერდება კოოპერაციის როლი ბაზარზე და ის მრეწველობას დაუახლოვდება".

ამნაირად კოოპერაციის გაძლიერება და მისი აპარატის გამარტივება ზედმეტი ხარჯების თავიდან ასაცილებლად—აი ერთი უმთავრესი ამოცანათაგანი. მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი. კოოპერაცია შეიძლება გავლენიანი გახდეს, მისი ხარჯებიც შემცირდეს. მაგრამ თუ საქონელს, მრეწველობიდან გამოსულს, როდესაც ის დაძრულია გლეხებისაკენ, გზაზე ეხეჩება სხვადასხვა გადასახადები—ეს კვლავ ართულებს საქმეს. და ფასების დაკლება მიზანს ვერ აღწევს.

> „ამისთვის საჭიროა გადავსინჯოთ ყოველგვარი ზედმეტი ხარჯი, გადავსინჯოთ ყოველგან, სადაც კი გაივლის პროდუქტი, დაწყებული მწარმოებლიდან და გათავებული მომხმარებლით.
>
> უნდა გადასინჯულ იქმნეს აგრეთვე რკინის გზის ტარიფი და სააქციზო განაკვეთებიც, რომ ფასების დაკლებით მ ხ ო ლ ო დ ერთ მხარეში, არ შევარყიოთ ჩვენი მეურნეობის საძირკველი, რომლის ჩაყრას დიდი შრომა და ენერგია დასჭირდა".

საოკუპაციო ხელისუფლებას შორის დაბრუნდება შეთანხმებით და თავიდან აგვაცდენს მოსალოდნელ კატასტროფას. წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა რურის 550000 სამთო-მადნო მუშის და მათი ოჯახების სიმშილით ამოხოცვისათვის დაეკისრება საფრანგეთს.

შტრეზემანი ყოყოჩობს

აღნიშნა რა, რომ გერმანიის მთავრობამ მიმართა დახმარებისათვის საერთაშორისო წითელ ჯვარს და სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებს, შტრეზემანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანია ვერ შესძლებს ვერსალის ხელშეკრულების ვალდებულებათა შესრულებას, სანამ რურის და რეინის ოლქები ჩამოცილებული იქნებიან მისგან. გერმანია არ დაუშვებს არავითარ უფლების შებღალვას და განაგრძობს ბრძოლას იმისათვის, რომ აღადგინოს თავისი უფლებები, ვერსალის ხელშეკრულების თანახმად.

„წმინდა სინიდისი“

სიტყვის დასასრულს შტრეზემანმა განაცხადა, რომ ადრე გამოირკვევა, დაუბრუნდება თუ არა გერმანიას დაკავებული ოლქები, და კატეგორიულათ უარჰყო ბრალდება გერმანიის პასუხისმგებლობისათვის მსოფლიო ომის გამოწვევაში. გერმანიის მთავრობამ გამოაქვეყნა თავისი არქივები და მზათ არის გადასცეს საკითხი საერთაშორისო ტრიბუნალს: ვისი სინიდისიც წმინდაა, დეე მიბაძოს ამ მაგალითს.

ეშინიათ შავი ბავარიის.

შეეხო რა ბავარიის და პფალცის საკითხებს, შტრეზემანმა განაცხადა, რომ პფალცის საკითხში მთავრობა მხარს უჭერს ბავარიას: რომელთანაც კონფლიქტი ახლო მომავალში აღმოფხვრილი იქნება.

არეულობა დაპყრობილ ადგილებში

არეულობა სიმშილობის და უმუშევრობის ნიადაგზე.

რომი. 29 ოქტ. იტყობინებიან, რომ ესსენში, დიუსელდორფში და დინსბურგში უმუშევრობის და სიმშილობის ნიადაგზე დიდი არეულობა დაიწყო. არეულობის ჩაქრობის დროს მრავალი უმუშევრები იქნენ მოკლული.

არეულობა უსურსათობის ნიადაგზე.

ლონდონი. 28 ოქტ. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ საოკუპაციო ოლქებში გრძელდება არეულობა უსურსათობის ნიადაგზე.

გუშინ ბოხუმში დამშეული ბრბო შეეცადა სასურსათო მაღაზიების დარბევას. პოლიციამ სროლა აუტეხა. 4 კაცი მოჰკლეს, ბევრი დაიჭრა.

ესსენში პოლიციასა და დემონსტრანტებს შეტაკება მოუხდათ. მოჰკლეს 3 დემონსტრანტი, მრავალი დასჭრეს.

დიუსელდორფში დაარბიეს სასურსათო მაღაზიები. პოლიციამ, წესიერების აღდგენის დროს, 1 მოჰკლა.

ბონნში საფრანგეთის ხელისუფლებამ საალყო წესები გამოაცხადა, განუწყვეტელი არეულობისა გამო.

ოკუპანტები ეხმარებიან გერმანიის პოლიციას.

პარიზი. 28 ოქტ. რურის ოლქში გერმანიის პოლიცია უძლურია უმუშევართა არეულობის ჩაქრობაში. მათ ეხმარება საფრანგეთის ჯარი.

სეპარატისტული მოძრაობა

შემდეგი წინსვლა.

ბერლინი. 27 ოქტ. სეპარატისტები გამაგრდნენ ბონში, აახენში, ტრიერში და მაინცში.

რეინის მთავრობის ოფიციალური ცნობა.

ბერლინი. 27 ოქტ. „ტაიმსის“ კორესპონდენტი რეინის ოლქიდან იუწყება, რომ საფრანგეთმა გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა რეინის მთავრობის ცნობის შესახებ. ინგლისის უმაღლეს კომისარს რეინის ოლქში, „ტაიმსის“ ცნობით განზრახული აქვს ენერგიული პროტესტი განაცხადოს საფრანგეთის მიერ რეინის სეპარატისტულ მთავრობის ცნობის წინააღმდეგ. „მანჩესტერ გარდიენის“ კელნის კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ საფრანგეთის ხელისუფლებებმა მოიხსნეს ნეიტრალიტეტის დიცვის ნიღაბი.

მოძრაობა ძლიერდება.

რომი. 29 ოქტ. ადასტურებენ, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ დახმარება გაუწია სეპარატისტებს მათ მიერ გეროლშტეინის დაკავების დროს.

მაინცში მდგომარეობა რთულდება. სეპარატისტებმა მიიღეს დამხმარე ძალები და დაიკავეს სამთავრობო შენობები. ქალაქის სხვადასხვა უბნებში საფრანგეთის ჯარებმა დააყენეს პატრულები.

ვორმსში მცხოვრებლებმა გარეკეს ადგილობრივი სეპარატისტები, რომელნიც შეეცადნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. ფრანგებმა დაგზავნეს ქალაქში პატრულები, სეპარატისტებისათვის დახმარების მიზნით.

საფრანგეთთან მოლაპარაკების ჩაშლა

შტრეზემანის განცხადება რურის ამბების შესახებ

ბერლინი. 25 ოქტომბერი. ჰაგენში, რურის მოსახლეობის წარმომადგენელთა თანდასწრებით, შტრეზემანმა [illegible] სეპარატისტების წინააღმდეგ. შტრეზემანმა აღუთქვა რურის მოსახლეობას, რომ სრულიად გერმანიის მთავრობა იკისრებს უმუშევართათვის ნაწილობრივ დახმარების გაწევას და 10 000 ოქროს მარკას მისცემს რურიდან ყოველ გადასახლებულ მოხელეს.

შტრეზემანის აზრით, პასუხისმგებლობა შექმნილ მდგომარეობისათვის კუნოს მთავრობას ეკისრება.

შტრეზემანმა განცხადება გააკეთა გერმანიის მთავრობისა და პუანკარეს საიდუმლო მოლაპარაკებისა და სოციალისტ ტომას შუამავლობის შესახებ. პუანკარემ დაარღვია თავისი დაპირება პასიურ წინააღმდეგობის გაუქმებისთანავე [illegible] გამართვის შესახებ.

შტრეზემანის აზრით, საოკუპაციო ოლქებმა თვითონ უნდა შექმნან თავისი მტკიცე ვალიუტა, რადგან სრულიად იმპერიის მთავრობა ვერ გააგზავნის რურში სრულფასიან ვალიუტას საოკუპაციო ხელისუფლების მიერ მისი კონფისკაციის შიშით.

შტრეზემანის შემდეგ გამოსულმა კელნის ბურგომისტრ ადენუერმა ხაზგასმით აღნიშნა გერმანიის ფარგლებში რეინის ფედერაციის დარჩენის საჭიროება. საოკუპაციო ხელისუფლებასთან მოლაპარაკების მიზნით შექმნილია კომისია, რომელშიაც შედიან საოკუპაციო ოლქების წარმომადგენლები.

ბავარიის კონფლიქტი ცენტრთან

შტრეზემანის ულტიმატუმი ბავარიას.

ბერლინი. 27 ოქტომბერი. ცეიგნერისადმი მიმართულ ულტიმატუმთან ერთად, საიმპერიო მთავრობამ წინადადება მისცა ბავარიას, რომლის ძალითაც ბავარიამ მოკლე ვადის განმავლობაში ბავარიის რეიხსვერი უნდა დაუმორჩილოს საერთო-საიმპერიო სარდლობას. ბავარიის საზღვარზე თავმოყრილია რეიხსვერის მნიშვნელოვანი ძალები.

მიუნხენის გაზეთებში დაბეჭდილია ოფიციალური პასუხი საიმპერიო მთავრობის ულტიმატუმზე. პასუხში ნათქვამია: „საიმპერიო მთავრობა, რომელშიაც შედიან პფალცის ავტონომისტების მეთაურის ჰოფმანის პარტიული ამხანაგები, არ არის მოწოდებული დაარწმუნოს კარი სახელმწიფოს მთლიანობის დაცვის აუცილებლობაში“.

საკონფერენციო საკითხის გარშემო

საფრანგეთის მიერ უარისთქმა კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებაზე.

ლონდონი. 27 ოქტ. საფრანგეთის ელჩმა ლონდონში გადასცა ინგლისის მთავრობას პასუხი წინადადებაზე საერთაშორისო სარეპარაციო კონფერენციის მოწვევის შესახებ. საფრანგეთი წინააღმდეგია გადაეცეს სარეპარაციო საკითხი განსახილველად საერთაშორისო კონფერენციას და თანახმაა მიიღოს მონაწილეობა მხოლოდ მოკავშირეთა ექსპერტების კომისიაში, რომელიც შეუდგება გერმანიის გადახდის უნარიანობის შესწავლას.

ლიბერალური პრესა აცხადებს, რომ საერთაშორისო კონფერენციას მნიშვნელობა ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა არ იქნება შეზღუდული საფრანგეთის მხრივ

საფრანგეთის პირობების განხილვა.

პარიზი. 29 ოქტ. ამ დღეებში ინგლისის კაბინეტი და აგრეთვე ამერიკის მთავრობა განიხილავენ საფრანგეთის მთავრობის მიერ წამოყენებულ პირობებს საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობისათვის.

საბჭოთა კავშირი და იაპონია

იაპონიის მორიგი გალაშქრება ს. ს. რ. კავშირის წინააღმდეგ

მოსკოვი. 27 ოქტ. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა აცნობა ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობებს იაპონიის ხელისუფლებების ს. ს. რ. კავშირის წინააღმდეგ მიმართულ შემდეგი უკანონო მოქმედებების შესახებ.

18 სექტემბერს ღამით იაპონიის ერთი სანთლებ ჩამქრალი გემი შევიდა საბჭოთა ნავთსადგურ სამარგაში და დაიწყო ყოფილ კონცესიების ტერიტორიაზე მყოფ იაპონელ მოქალაქეთა ქონების გატანა. საბჭოთა ხელისუფლების პროტესტისა და ქონების გატანის აკრძალვის შემდეგ გემი წავიდა. 20 სექტემბერს იაპონიის 2 ნაღმოსანმა მიუშვირეს რუსეთის ნაპირს ზარბაზნები და სერიოზულ ზომების მიღების მუქარით მოითხოვეს საბჭოთა ხელისუფლებისგან აღნიშნულ აკრძალვის დაუყოვნებლივი გაუქმება. იგივე გემი კვლავ შევიდა ნავთსადგურ სამარგაში, დაიწყო ქონების გატანა და დარჩენილ ქონების განადგურება. 20 ოქტომბერს ს. ს. რ. კ-ის ტერიტორიალურ წყლებში თვითნებურათ შესულმა იაპონიის 4 ნაღმოსანმა დაიჭირეს 48 საათით ამურის ლიმანში საბჭოთა გემი, რომელიც ხსნიდა სახალინის ფარვატერის ზღუდეს და იაპონიაში გაიტანეს საბჭოთა ფარვატერის მთელი მოწყობილობა.

რა ხდება პოლონეთში

საერთო გაფიცვა.

ვარშავა. 28 ოქტომ. სამზაბათს განზრახულია გამოცხადებულ იქნას საერთო პოლიტიკური გაფიცვა მთელს ქვეყანაში.

კრაკოვში საერთო გაფიცვაა.

ვარშავა. 28 ოქტომ. კრაკოვში საერთო გაფიცვაა.

რეპრესიები რკინისგზელთა წინააღმდეგ.

ვარშავა. 28 ოქტომ. ლოძის რაიონში, და აგრეთვე დომბროვოში, კრაკოვში და ჩენსტოხოვში გაფიცვები გრძელდება. რკინისგზელების გაფიცვა გადავიდა ყველა ხაზებზე. რკინისგზელების მოთხოვნილებები უარყოფილია მთავრობის მიერ, რომელმაც ლვოვში და კრაკოვში გამოაცხადა რკინისგზელების მობილიზაცია. ამ დღეებში სამხედრო სამსახურში გაიწვევენ აგრეთვე ვარშავის რაიონის რკინისგზელებსაც.

მუშათა კლასის გამყიდველების გაერთიანება.

ვარშავა. 28 ოქტომბერი. მთელს ქვეყანაში ერთიანდებიან შტრეიკბრეხერულ ორგანიზაციების წევრები. მუშებმა უნივერსიტეტთან მოაწყვეს დემონსტრაცია და მოითხოვდენ, რომ სტუდენტებისათვის აეკრძალათ მონაწილეობის მიღება შტრეიკბრეხერულ მუშაობაში.

ყველა რკინისგზელები გაიფიცენ.

ვარშავა. 27 ოქტომბერი. პროფკავშირის ნებადაურთველათ წარმოშობილი რკინისგზელთა გაფიცვა გალიციაში ქვეყნის სხვა კუთხეებზედაც გავრცელდა. სარკინისგზო მიმოსვლის შეწყვეტამ სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა გამოიწვია. მთელი პოლონეთი მოწყვეტილია სილეზიის ნახშირს.

მთავრობამ გადასწყვიტა რკინისგზელთა მოძრაობის დაღრჩობა რეპრესიული ზომებით. ლვოვიდან იუწყებიან, რომ მთავრობამ რკინის გზათა მილიტარიზაცია გამოაცხადა და სამხედრო სამსახურში გაიწვია გაფიცული რკინისგზელები. ვარშავის პოლიცია დაეძებს რკინის გზის მემანქანეებს მათ ბინებზე და ძალით მიათრევს მათ სამუშაოზე. ვარშავას სადგური დაკავებულია სამხედრო ნაწილებით.

პოლონეთის სოციალისტთა პარტია უკმაყოფილოა გაფიცვის განვითარებით. რკინისგზელთა წარმომადგენლებმა მოლაპარაკება გამართეს მთავრობასთან. უკანასკნელმა კატეგორიულათ უარყო რკინისგზელთა მოთხოვნილებები.

საფრანგეთის ამბები

მწერალ ბარბიუსის პასუხისგებაში მიცემა.

პარიზი. 26 ოქტომბერი. ბარბიუსი მიცემულია პასუხისგებაში სასამართლოს წინაშე ომში ყოფილ მონაწილეთა ბერლინის ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვისათვის, რომელშიაც იგი მოუწოდებდა საფრანგეთის ჯარისკაცებს არ გამოსულიყვნენ რურში გერმანიის პროლეტარიატის წინააღმდეგ. მას ბრალად ედება სამხედრო ბრძანებისადმი ურჩობის წაქეზება.

ბარბიუსმა გამოსთქვა რწმენა, რომ მის საქციელს მოიწონებს ომში ყოფილ მონაწილეთა საერთაშორისო კავშირი.

„ჰიუმანიტე“-მ გამოაქვეყნა კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის, საპარლამენტო კომუნისტურ ფრაქციის და მუნიციპალიტეტების მრჩეველთა ჯგუფის განცხადება. განცხადებაში გამოთქმულია სოლიდარობა ბარბიუსთან და მხარის დაჭერა რურის ჯარისკაცებისადმი მისი მოწოდებისათვის. ომში ყოფილ მონაწილეთა საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს ბარბიუსისადმი წარდგენილ ბრალდების გავრცელებას მთელს კომიტეტზე. ბარბიუსის საქმესთან დაკავშირებით გაჩხრეკილ იქნა „ჰიუმანიტე“-ს რედაქცია.

მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში

ოსმალეთის მთავრობის გადადგომა.

ანგორა. 28 ოქტ. ოსმალეთის კომისართა საბჭო (კაბინეტი) მთელი შემადგენლობით გადადგა. გადადგომის ოფიციალური მიზეზია--სურვილი მიეცეს ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებას საშუალება შეადგინოს ძლიერი კაბინეტი, რომელიც ისარგებლებს ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების სრული ნდობით.

[illegible]

ლონდონი. 29 ოქტ. ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს გამოითხოვოს თემთა პალატიდან დამატებითი კრედიტი 4—8 კრეისერის ასაშენებლად და ამგვარად „ნაწილობრივ შეამციროს უმუშევრობა ინგლისში“.

აჯანყება კუნძულ კორფუზე.

რომი. 29 ოქტ. გაზ. „მესაჯერი“ იუწყება, რომ კუნძულ კორფუზე [illegible] მთავრობის წინააღმდეგ. მოელიან საბერძნეთის ფლოტის ჩასვლას აჯანყების ჩაქრობამდ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

თურქესტანის დაშნაკელთა ლიკვიდაცია.

ტაშკენტი. 29 ოქტ. თურქესტანის ყოფილ დაშნაკელთა საინიციატივო ჯგუფმა გამოსცა დეკლარაცია, რომელშიაც თავის ორგანიზაციას დაშლილად აცხადებს.

შმიდტის მოკვლისათვის

სიმფეროპოლი. 29 ოქტ. ლეიტენანტ შმიდტის დასჯის მონაწილეს ფიდოროვს, სევასტოპოლში მიუსაჯეს 5 წლით დატუსაღება, მთელი ქონების ჩამორთმევა და 5 წლით უფლებათა აყრა.

საოლქო პროკურატურის ორგანიზაცია.

მოსკოვი. 29 ოქტ. იუსტიციის სახალხო კომისარიატი შეუდგა პროკურატურის ორგანიზაციას. საოლქო პროკურატურის მოვალეობა იქნება საოლქო ადმინისტრატიულ ორგანოთა მოქმედების მეთვალყურეობა, აგრეთვე ხელმძღვანელობა, გზის მიცემა და თვალყურის დევნება ქვემდებარე საგუბერნიო პროკურატურისა.

ხანძარი საკავშირო გამოფენაზე.

მოსკოვი. 27 ოქტომბერი. საღამოს 9 საათზე საკავშირო გამოფენაზე ცეცხლი გაუჩნდა „მოსელპრომ“-ის პავილიონს. დროზე მოსულმა ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ცეცხლი ჩააქრო ერთი საათი საათის განმავლობაში. პავილიონის ერთი ნაწილი დაიწვა. სწარმოებს ხანძარის მიზეზთა გამოძიება.

გერმანიის რევოლუციის მოახლოება და ერთიანი ფრონტის ტაქტიკა

მოსკოვი. 27 ოქტომბერი. ამხ. ზინოვიევის წერილის ერთ-ერთ თავში „გერმანიის რევოლუციის პრობლემები“ სწერია:

„სრულიად გერმანიის კოალიციონური მთავრობა ორივე ფეხით დაკოჭლდა: მარჯვენა ფეხით—თეთრი ბავარია, მარცხენათი—წითელი საქსონია. წითელი საქსონია, უფრო სწორად—მკრთალი წითელი საქსონია, თეთრი ბავარია და ყვითელი ცენტრალური მთავრობა—ასეთია ამ ჟამად მდგომარეობა. როგორი უნდა იყოს მომავალში ერთიანი ფრონტის ტაქტიკა გერმანიაში?

გერმანიის პარტიამ უდიდესი წარმატებით გამოიყენა ერთიანი ფრონტის ტაქტიკა. მაგრამ გერმანიის დღევანდელ პირობებში ეს ტაქტიკა შედის ახალ ფაზაში. ეს ტაქტიკა ისევ სწორი რჩება, მაგრამ თანამედროვე გერმანიისათვის პირველ რიგში უნდა იქნას დასმული, გარდა პროლეტარიატის საშუალო ჩამორჩენილ, არიერგარდულ ფენების მიმხრობისა, მეორე ამოცანა: არაჩვეულებრივი სიფხიზლით თვალყურის დევნება, რათა ერთიანი ფრონტის ტაქტიკის უწესოთ გამოყენებამ, არ შეაფერხოს რევოლუცია და არ მოადუნოს ავანგარდის გაბედაობა.

გერმანიის კომპარტიამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, ყველა იმ მუშათა ფენების—სოციალ-დემოკრატების მისამხრობად, რომელნიც განიცდიან რყევას სოციალ-დემოკრატებსა და კომუნისტებს შორის.

ამას წინად ჰამბურგსა და ბერლინში მომხდარი მოლაპარაკება ცრუ მემარცხენე სოციალ-დემოკრატიულ ბერლინის ორგანიზაციის წინამძღოლებთან, აუცილებელია, მაგრამ ამ მოლაპარაკებასთან დაკავშირებული საშიშროებაც დიდია. იკარგება ძვირფასი დრო. თუ რომ გერმანიის კომპარტია ასეთ მოლაპარაკების დროს და მის შედეგებზე იმედების დამყარებით უარს იტყოდა საჭირო ღონისძიებათა პრაქტიკულად მომზადებაზე, თუ რომ ის გამოიმუშავებდა ფართო პოლიტიკურ გეგმებს, იმ იმედით, რომ მიაღწევს კავშირს სოციალ-დემოკრატიულ წინამძღოლებთან,—ის ჩაიდენდა ნამდვილ დანაშაულს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასეთ შეცდომას გერმანიის კომპარტია არ დაუშვებს. მოლაპარაკება მოლაპარაკებაა, მაგრამ საქმე თავისას მოითხოვს.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ დადგა ისეთი მომენტი, როცა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის კონტრ-რევოლუციონური წინამძღოლები ფორმალურად მიემხრობიან ერთიან ფრონტს და როცა სხვა საშუალებით არ იქნება მოსახერხებელი ბურჟუაზიის გადარჩენა. კომუნისტებმა ნათლად უნდა დააყენონ საკითხი:

„რისთვის, რა მიზნით ემხრობიან ერთიან ფრონტს სოციალ დემოკრატიის კონტრ-რევოლუციონური წინამძღოლები, რომელნიც ათასჯერ ღალატობდენ პროლეტარიატს, რათა შიგნიდან მოადუნონ პროლეტარულ მასების რევოლუციონური ნებისყოფა, რათა რევოლუციონური შტაბი გადააქციონ სადისკუსიო კლუბად, სალაყბოთ! ასეთი მხარის დაჭერა და ასეთი დახმარება საბედისწერო იქნება რევოლუციისათვის.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიას უკვე ხელთ უპყრია გერმანიის ბედი. მშვიდობიანად საქმის დასრულება უკვე მასზე აღარ არის დამოკიდებული. მშვიდობიანი გამოსავალი საერთოდ აღარ არის შესაძლებელი. ერთიანი ფრონტის ტაქტიკა ურყევი რჩება საერთაშორისო მასშტაბით. იგი გერმანიაში თითქოს გატარებულია. მუშათა კლასის მთავარი ძალები ამოძრავდენ. პროლეტარიატის არიერგარდული ფენები ამ მოძრაობისაკენ იხრებიან. ავანგარდის ამოცანაა, ბრძოლაში გაიყვანოს ეს ამოძრავებული მასები. ერთიანი ფრონტის ტაქტიკა,—მუშათა კლასის ავანგარდის ყოველმხრივ აწონ-დაწონილი სტრატეგიული მანერი სწორია. საჭიროა მხოლოდ რათა დღევანდელ აბობოქრებულ გერმანიაში ერთიანი ფრონტის ტაქტიკა საწინააღმდეგო ძალად არ გადაიქცეს“.

საბჭოთა არჩევნებისათვის

საქ. მშრომელ ახალგაზრდობას

ახალგაზრდა მუშებს, გლეხებს და წითელარმიელებს.

ამხანაგებო! მალე შესრულდება სამი წელი, რაც საქართველოში მუშათა და გლეხთა მთავრობა დამყარდა, ხოლო ორი წელი კი—რაც საქართველოში პირველი საბჭოთა არჩევნები ჩატარდა. ამ ხნის განმავლობაში მშრომელმა ხალხმა ბევრი რამ შეისწავლა. ის ღრმად დარწმუნდა იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება ეს განსახიერებაა მშრომელთა ნებისყოფისა. მეორე მხრივ შეიგნო ის, რომ მისი არსებობა უდიდესი ლახვარია ყველა მუქთახორების, სოფლის კულაკების და სპეკულიანტებისათვის.

ამ ხნის განმავლობაში საქ. მშრომელმა ხალხმა გაიარა სკოლა საბჭოთა ხელისუფლების შინაარსის გაგებისა და შეიგრძნო მასში თავისი კლასობრივი ინტერესების გამოხატულება. საბჭოების მუშაობა ეს მასების უაღრესი ამოძრავებაა, მათი უშუალოთ ჩაბმაა ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. სწორედ ამიტომ ასე გაგიჟებით ლესავენ კბილებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხის სხვადასხვა ჯურის მტრები. მასში ისინი სამართლიანად ხედავენ დასასრულს მათი ბატონობისას და განმტკიცებას მშრომელთა ნება სურვილებისას.

ჩვენი დრო არის დრო ათეულ მილიონ მშრომელთა ამოძრავებისა. მათში დამალული ენერგია, რომლის გამოჩენის საშუალებას არ იძლეოდა ძველი მონური პირობები ცხოვრებისა, უნდა იქნეს გამოყენებული მაქსიმალურათ. საამისო ორგანოები საბჭოებია, რომელნიც განსაზღვრულ კალაპოტში ჩააყენებენ ამ ენერგიის მოხმარას.

ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა მთავრობამ ძლიერ ბევრი გააკეთა მუშებისა და გლეხებისათვის. სამაგალითოდ გადაჭრა მიწის საკითხი, მუშების ცხოვრების პირობები გაუმჯობესდა საგრძნობად, საქართველო აღმშენებლობის გზაზე დააყენა მოსპო ნაციონალური შუღლი და მტრობა. ასეთია მოკლეთ საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობის შედეგები. ამიტომ საბჭოთა მთავრობასთან თანამშრომლობენ დღეს ისინიც, ვინც დემოკრატიულ ილიუზიებით იყვნენ გატაცებულნი. საბჭოთა სისტემამ იდეური გამარჯვება მოიპოვა ყოფილ მენშევიკების ყრილობაზე, კიდევ მეტი ახალგაზრდობის ინტელიგენტიური ნაწილი, რომელიც თავმოყრილი იყო ე-წ. ახ. „მარქსისტთა“ ორგანიზაციაში, დღეს იცვლის თავის ტაქტიკას, უარჰყოფს დემოკრატიზმის გზას, ლიკვიდაციას უშვება თავის ორგანიზაციას და დგება საბჭოთა პლატფორმაზე.

მთავარი ამოცანა, რომელსაც ჩვენ დაუსახავთ საბჭოებს—ეს იქნება გამტკიცება და გამაგრება მისი აპარატის, დაახლოვება მასასთან, ამ მასის ჩათრევა ქვეყნის მშენებლობაში. ხელახალი საბჭოების არჩევნები, რომელიც იწყება 1-ლ ნოემბრიდან, საუკეთესო საშუალებაა სინამდვილეში გამოვარკვიოთ მათი მუშაობის შედეგები და წარგვზავნოთ იქ სანდო და ენერგიული მუშაკები. კომუნისტურმა პარტიამ წამოაყენა საბჭოების ლოზუნგი, მისი ენერგიულ ბრძოლით მივიღეთ ისინი. მან შეინარჩუნა მშრომელი ხალხის დახმარებით ეს საბჭოები სამოქალაქო ომის და დაუთვლელ ბარიკადების გამოვლებით. ამიტომ თუ მშრომელ ხალხს სურს გაამაგროს საბჭოები, ის ვალდებულია გააგზავნოს იქ კომუნისტები. საბჭოები უკომუნისტებოთ ეს მილიუკოვის და სხვა თეთრგვარდიელთა მოთხოვნაა. ეს უდრის ძველი ბატონების დაბრუნებას. ახალგაზრდობამ განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშოს ამ არჩევნების დროს. ცეცხლისებური ტემპერამენტი და დაუღალავი ენერგია გამოვიყენოთ საბჭოების ახალ არჩევნებში, უმთავრესად სოფლად, სადაც კომუნისტური კავშირი ძლიერი ფაქტორია უნდა ვეცადოთ გავიყვანოთ საბჭოებში მშრომელი ხალხის მოპირნახული კომუნისტები.

„ოქტომბრის თაობა“ დაამტკიცებს ეხლა, რომ ის კომპარტიასთან არის, ის ბერკეტია საბჭოთა ხელისუფლებისა, ის არ მისცემს საშუალებას არც შინაურ მტრებს არც გარეშე იმპერიალისტურ ყაჩაღებს, შეასუსტონ სოც. რესპუბლიკების კავშირი.

იშვიათ მომენტში იწყება არჩევნები. გერმანიაში გამოჩნდა არჩდილი ცხოველ მყოფელ კომუნიზმისა. რევოლუცია იქ დღის წესრიგში სდგას—მოეღება ბოლო გერმანიის ხალხის ტანჯვა-წამებას—ჩვენ მოველით საბჭოთა გერმანიას. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ თუ ჩვიდმეტი წლის ოქტომბერმა საბჭოთა რუსეთი მოგვცა, წელს ოქტომბერი მოგვცემს საბჭოთა გერმანიას. იწყება გრანდიოზული შეტაკებანი... ამ ჭიდილში ჩვენ გულ-ხელ დაკრეფილი ვერ ვიქნებით,—არ ვიქნებით. საუკეთესო დახმარება იმათთვის ჩვენი მტკიცე ერთობა, გასალკდევება, საბჭოთა ხელისუფლების აუღებელ ციხეთ გადაქცევა იქნება.

ჩვენ მოუწოდებთ ყველა ახალგაზრდა მუშებს, გლეხებს, ხმა მისცეთ იმ პარტიას, რომელმაც გამოიარა ათეული წლები მეფის რეჟიმთან ბრძოლისა, პარტიას, რომელსაც არ უღალატნია არასოდეს ინტერნაციონალის ლოზუნგისათვის, პარტიას რომელმაც მოახდინა ოქტომბრის რევოლუცია, დაიცვა სოც. რესპუბლიკათა კავშირი შინაური პომეშჩიკების და გენერლებისაგან და გარეშე იმპერიალისტებისაგან.

მოგიწოდებთ ამოუდგეთ გვერდში კომ-პარტიას, რომელმაც შექმნა ტრადიცია რევოლუციონურ ბრძოლის და უმაგალითო თავდადების. მან მოუღო ბოლო შოვინიზმს—კაცი ჭამიაობას ამიერ-კავკასიაში და საქართველოში და წარმართა ჩვენი რესპუბლიკა მშვიდობიან აღმშენებლობის და პატიოსან შრომის გზით.

მშრომელი ახალგაზრდობა, ჩვენ გვწამს, ამ ჟამათაც, ისე როგორც ყოველთვის, ჩააბარებს თავის ინტერესების დაცვას იმ პარტიას, რომელმაც პირველად წამოაყენა მოთხოვნილება ახალგაზრდობისათვის არჩევნებში უფლების მიცემისა და რომელიც თავის ძლევამოსილ მსვლელობაში ეყრდნობა ახალგაზრდობის რევოლუციონურ რეზერვებს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკათა კავშირს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და კომუნისტურ კავშირს, უშიშარ დარაჯებს საბჭოთა ხელისუფლებისა!

გაუმარჯოს წითელ არმიას, შეიარაღებულ დამცველს საბჭოთა რესპუბლიკების და მომავალ რევოლუციების!

გაუმარჯოს გერმანიის რევოლუციის ამომავალ მზეს!

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

საქარ. კომ. კავშ. ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს ყველა მშრომელ ქალებს

საქართველოს მშრომელმა ქალმა მუდამ იცოდა ზრუნვა მხოლოდ სამზარეულოზე და ბავშვებზე.

მას სჯეროდა იმათი, ვინც ამბობდა, რომ ქალის საქმეა ზრუნვა ოჯახზე, ხოლო ყველა დანარჩენი კი მამაკაცის.

მაგრამ დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც მიანიჭა მშრომელ ქალს ყველა საქმეების გადაჭრის უფლება მამაკაცებთან თანასწორათ.

მამაკაცი მუშაობდა ყანაში, ფაბრიკაში, ხოლო მისი ცოლი კი სახლში.

მამაკაცი ხნავს, ხმარობს მანქანებს, ქალი კი ართავს, რეცხავს და ზრდის ბავშვებს. ორივე შრომობს, მათი შრომით ცხოვრობს მთელი ქვეყანა, მათი შრომა თანაბარია, რადგანაც თანაბრად სასარგებლოა როგორც მამაკაცის, ისე ქალის შრომა, ისინი თანასწორათ უნდა სწყვეტდენ იმ საკითხებს, თუ როგორ გააუმჯობესონ თავიანთი ცხოვრება.

საბჭოთა ხელისუფლება თვით მშრომელ ქალების და მამაკაცების ხელისუფლებაა. ისინი ირჩევენ საბჭოებში საუკეთესო ერთგულ მუშაკებს, მათ, რომელთაც მთელი ცხოვრების განმავლობაში უშრომიათ და შეუქმნიათ ის სიკეთე, რომლითაც ცხოვრობს მთელი ქვეყანა. საბჭოთა ხელისუფლება არ სცნობს მათ, ვინც ცხოვრობდა სხვის ხარჯზე, ვინც მიირთმევდა მზამზარეულს, ვინც შეცურებული იყო ფუფუნებაში და ძარცვავდა ღარიბებს. საბჭოთა ხელისუფლება მათ სთვლის მშრომელთა მტრებათ. ართმევს მათ სიმდიდრეს, მიწებს და ფულს და უბრუნებს იმ მშრომელებს, რომელთაც ის წაართვეს.

მხოლოდ მრშომელებს—გლეხებს, მუშებს, მათ ცოლებს, დებს და დედებს აქვთ საკუთარი ბედ-იღბალის გადაწყვეტის უფლება.

მათ მოუწოდებს საბჭოთა ხელისუფლება ყოველ. წელს აირჩიონ ერთგული და ღირსეული წარმომადგენლები, რომელთაც შეეძლებათ სამართლიანათ გადასჭრან ყველა საკითხები.

საქართველოს მშრომელო ქალებო, თქვენ თქვენს ქმრებთან და ძმებთან ერთად უნდა აირჩიოთ საბჭოს ახალი წევრები, რომელთაც თქვენ მიანდობთ ერთი წლით პროლეტარულ სახელმწიფოზე ზრუნვას.

თქვენც ისევე ხართ დაინტერესებული ცხოვრების გაუმჯობესებაში, როგორც თქვენი ქმრები და ძმები. ცხოვრების პირობების გაუმჯობესება დამოკიდებულია თქვენს საბჭოებზე.

თქვენ გსურთ, რომ თქვენს სოფელში, თქვენს ქალაქში იყოს სკოლები და საავადმყოფოები. თქვენ გსურთ, რომ გადასახადი თქვენზე კანონიერათ იყოს შეწერილი.

თქვენ მონდომებული ხართ, რომ თქვენს მიერ გაღებული ფულები მოხმარდეს თქვენი მეურნეობის გაუმჯობესებას, გზების შეკეთებას, არხების გაყვანას, ელექტრონის სადგურების აშენებას. თქვენ გსურთ, რომ ყველა ქვრივ-ობლებს მიეცეთ თავშესაფარი და საარსებო საშუალება.

აირჩიეთ საბჭოებში მხოლოდ ისეთები, რომლებიც მზათ არიან ყოველივე ძალღონე მოახმარონ მშრომელთა კეთილდღეობას.

აირჩიეთ მხოლოდ ისინი, ვინც მზათ არის დაუზარებლათ იდგეს თავის [illegible] ვინც თავისი სიცოცხლით დაამტკიცა, რომ ის გამსჭვალულია მხოლოთ მშრომელთა ინტერესებით, რომ ის არ ზრუნავს პირადი კეთილდღეობისათვის.

აირჩიეთ მხოლოთ ისინი, ვინც ერთგულია კომუნისტური პარტიის, რომელიც იცავს მშრომელთა ინტერესებს, ვინც მედგრად იბრძოდა მის რიგებში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

აირჩიეთ ერთნაირათ ქალებიც და მამაკაცებიც, რადგანაც მათ ერთნაირათ შეუძლიათ თქვენი ინტერესების დაცვა.

საქართველოს მშრომელო ქალებო თქვენ გატყუილებდენ თქვენი მტრები და თქვენი შეუგნებელი მეგობრები, როდესაც ელაპარაკებოდნენ, რომ ქალს არაფერი საერთო არ აქვს იმასთან, რაც არ შეეხება მის ოჯახსო.

განა ზრუნვა სკოლაზე თქვენი ბავშვებისათვის—თქვენი საქმე არ არის?

განა თქვენ არ გაწუხებთ იმ ქვრივ-ობლების ცრემლები, რომლებიც თხოულობენ დახმარებას?

განა თქვენი მეურნეობის გაუმჯობესების საქმე თქვენი საქმე არ არის?

განა თქვენ არ ხართ დაინტერესებული იმაში, რომ თქვენს სოფელს ან ქალაქს განაგებდეს საიმედო პირი და არა ისეთი, რომელსაც შეუძლია თქვენი ღალატი?

თუ თქვენ წინათ გამყოფებდნენ მონობაში, არ გაძლევდენ გათვითცნობიერების საშუალებას, არ გაძლევდენ მონაწილეობის მიღების უფლებას იმ საკითხების გადაჭრაში, რომლებიც შეეხებოდენ მთელს ერს, ეხლა კი თქვენი ხელისუფლებაა, თქვენივე ხელმძღვანელები მოგიწოდებენ თქვენ.

საქართველოს მშრომელო ქალებო აირჩიეთ საბჭოებში თქვენი საუკეთესო წარმომადგენლები.

აირჩიეთ ქალები, თანაბრად მამაკაცებისა, რადგანაც ამით თქვენ დაუმტკიცებთ მთელს ქვეყანას, რომ საქართველოს მშრომელი ქალები სარგებლობენ იმ უფლებით, რომელიც მიანიჭა მას საბჭოთა ხელისუფლებამ, ახმარებენ თავის ძალებს მშრომელი ხალხის კეთილდღეობას.

დეე მთელი ბურჟუაზიული სამყარო შეშფოთდეს მით, რომ საქართველოს მშრომელები ქმნიან ახალ ცხოვრებას.

დეე, დაინახოს მთელმა ქვეყანამ, თუ საქართველოს მშრომელები როგორ ირჩევენ საუკეთესო წარმომადგენლებს თავიანთი ინტერესების დასაცავათ.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც ანიჭებს ქალს სრულ თავისუფლებას.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, მშრომელთა წინამძღოლს.

გაუმარჯოს წითელ არმიას—საბჭოთა ხელისუფლების დამცველს და დასაყრდენს.

საქართველოს ყველა მშრომელი ქალები გამოუკლებლათ მიიღებენ მონაწილეობას საბჭოთა არჩევნებში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა შორის მუშაობის განყოფილება.

პარტიული ცხოვრება

ოქტომბრის დღესასწაულისათვის

ძვირფასო ამხანაგებო! წელს ოქტომბრის რევოლუციის 6 წლის თავის ზეიმობა გერმანიის ამბებთან ერთად გვიხდება.

მშრომელთა მთელი გულისყური ეხლა გერმანიას უნდა მიეპყროს. გერმანია ამჟამად თავის ოქტომბერს განიცდის და მოხსენებებში ოქტომბრის რევოლუციის შესახებ უნდა განიმარტოს ამ ამბების მნიშვნელობა და ერთი მეორესთან შედარებულ იქნეს დიადი ოქტომბრის რევოლუცია ჩვენში და გერმანიაში. საჭიროა განიმარტოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ს. ს. რ. კავშირისათვის გერმანიის ამბების განვითარებას ამა თუ იმ მიმართულებით. გერმანიის დამარცხება ჩვენი მონაპოვართა წინააღმდეგ გალაშქრების მომასწავებელი იქნება, გერმანიის პროლეტარიატის გამარჯვება კი გააძლიერებს მთელს მსოფლიოში კომუნიზმის ძალებს და მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციის პროლოგათ გადაიქცევა.

გერმანიის პროლეტარიატის გამარჯვება შექმნის უდიდეს პოლიტიკურ და ეკონომიურ კავშირს ს. ს. რ. კავშირისა და გერმანიის შორის, კავშირს, რომელიც საშუალებას მოგვცემს განვავითაროთ ქვეყნის ყველა საწარმოვო ძალები და თავი დავაღწიოთ ეკონომიურ კრიზისიდან.

ამ კავშირის პოლიტიკური ძლიერება შექმნის ძალას, რომელიც დაამსხვრევს მსოფლიო ფაშიზმს.

თუ მუშა და გლეხისათვის ძვირფასია ოქტომბრის მონაპოვარნი, ისინი ყოველგვარ აქტიურ დახმარებას აღმოუჩენენ გერმანიის პროლეტარიატს.

დახმარება უნდა იქნეს აქტიური და თუ საჭირო გახდება სამხედრო დახმარება,—ისიც უნდა იქნეს აღმოჩენილი. საჭიროა მასების შეგნებაში ჩაინერგოს ის აზრი, რომ გერმანიის ამბების თვალსაზრისით უნდა გათვალისწინებულ იქნეს ჩვენი უახლოესი ტაქტიკა და რომ იმისგან, თუ როგორ განვითარდებიან იქ ამბები, დამოკიდებულია ს. ს. რ. კავშირის ბედიც. მაგრამ გერმანიის პროლეტარიატისთვის მხარის დაჭერასა და ყოველმხრივ დახმარებასთან ერთად ჩვენ ყოველგვარ საშუალებით შევეცდებით, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვეს და რომ ომს,—თუ იგი აუცილებელი გახდება,—თავდაცვის ხასიათი ექნეს.

ოქტომბრის დღის ზეიმობა უნდა ჩატარდეს ჩვენი ძალთა დათვალიერების ნიშნით და იმ მნიშვნელობით, რომ ჩვენ მზათ ვართ დავიცვათ ჩვენი მონაპოვარნი, წინააღმდეგობა გაუწიოთ მსოფლიო ფაშიზმს და აქტიური დახმარება აღმოუჩინოთ თავისი ოქტომბრისათვის მებრძოლ გერმანიის პროლეტარიატს.

მიმდინარე მომენტის სერიოზულ ხასიათის გამო, ს. კ. პ. ტფ. ორგანიზაცია წინადადებას გაძლევთ ეკონომიით მოექცეთ დღესასწაულის საორგანიზაციო ხარჯებს.

ტ. კ-ის მდივანი **რუბენი.**

სააგ.-საპროპ. გან. გამგე **მ. ესხენი.**

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ლიკვიდაცია

სრულიად საქართველოს კონფერენცია

ყრილობის გახსნა და მისალმებანი.

სრულიად საქართველოს ყოფილ ახალ. მარქ. სალიკვიდაციო კონფერენცია გაიხსნა სასახლეში 28 ოქტ. საღამოს სრულ 7 საათზე.

კრებას ხსნის სრულიად საქ. ყოფ. ახალ. მარქსისტთა საინიციატივო ბიუროს თავმჯდომარე ამხ. ალ. ცინცაძე, რომელმაც მოკლე სიტყვით მიმართა ყრილობას, სადაც აღნიშნა ისტორიული მნიშვნელობა ახალ. მარქსისტთა ლიკვიდაციისა, მოუწოდა კონფერენციას სრული მარქსისტული შეგნებით გაეთვალისწინებიოს დღევანდელი მომენტის სირთულე. ორატორი მისალმებას შემდეგი სიტყვით ათავებს:

გაუმარჯოს მშრომელ ახალგაზრდობის გაერთიანებას!

გაუმარჯოს ახალგაზრდათა მე-3-ე კომუნისტურ ინტერნაციონალს! (მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს).

პრეზიდიუმის არჩევა.

შემდეგ ირჩევა კონფერენციის პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარეთ ალ. ცინცაძე, თავმჯ. ამხანაგებათ პეტრე მეგრელიშვილი და აპოლონ ლომთათიძე. მდივნებად თარაიანი არმენაკ, პაიჭაძე ალ. და გიორგაძე გრიგოლი.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ ყრილობა ამტკიცებს დღის წესრიგს.

დღის წესრიგი.

1. საერთაშორისო მდგომარეობა და სოციალისტური რევოლუციის პერსპექტივები. მომხსენებელი ამხ. პ. მეგრელიშვილი.
2. პროლეტარიატის დიქტატურა. თუ პარლამენტარული დემოკრატია. მომხსენებელი ამხ. ცინცაძე.
4. ეროვნული საკითხი. მომხს. ამხ. გ. გიორგაძე.
4. საბჭოთა აღმშენებლობა. მომხს. ამხ. ა. კალაძე.
5. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების თვითლიკვიდაცია.
6. სრ. საქ. სოც. დემ. მუშ. პარტიის ყრილობის შედეგები. მომხსენებელი ამხ. არ. რუხაძე.
7. მიმდინარე საკითხები.
8. დეკლარაცია.

შემდეგ მიესალმა კონფერენციას ს. დ. საკავშირო საინიციატივო ბიუროს წევრი ამხ. ტ. შენგელია. საქართველოს ახალგაზრდა კომკავშირის სახელით ყრილობას ესალმება ახალ. ცეკას პასუხისმგებელი მდივანი ამხ. გ. დევდარიანი, რომლის გამოსვლას კონფერენცია ტაშით ხვდება. ამხ. დევდარიანი მოკლეთ შეეხო ახალგაზ. მარქსისტთა წარსულ მოქმედებას, აღნიშნა ის შეცდომები, რომელიც ახასიათებდა მათ მუშაობას. შემდეგ შეეხო ახალგაზრდა კომკავშირის ხაზს და ტაქტიკას მის მიერ საქართველოში მოქმედების დაწყების დღიდან. აღნიშნა ის მიზეზები, რო-

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტთან არსებული „გერმანიის პროლეტარიატის დახმარების კომისია“ წინადადებას აძლევს ყველა ორგანიზაციებს, შემოიტანონ შემოწირულებები და გადარიცხვანი უშუალოთ აღნიშნულ კომისიაში. (ტფილისის კომიტეტის შენობა—საფინანსო განყოფილება).

კომისია.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას.

ამხ. იასონ ჯორბენაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი ჩერვონეცი გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ და ვიწვევ კოლია ირემაძეს, ვახტანგ ჟორდანიას, ამბროსი ინწკირველს, ვლადიმერ ჩხაიძეს, ვასილი მაიკოვს (ლითონის განყ.) კალენიკე ცისკარიძეს (სასურსათო კომისარიატი), გალუსტოვს (სპირტისა და კონიაკის ტრესტი).

პლატონ ჯანელიძე.

შემომაქვს ორმოცდა ათი მილიონი მანეთი, გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: საშა პაპავას („წით.-არმ.“ რედაქცია), ვანო ბახტაძეს, გრიგოლ ცეცხლაძეს და გიორგი ბარნაბიშვილს.

ლ. ჩანტლაძე.

ამხ. ფ. ლაბაძის და ტ. მგალობლიშვილის გამოწვევით შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის დახმარების ფონდში 40.000.000 მანეთი და ჩემის მხრივ ვიწვევ ს. შ. კ. ტფილისის ტეხნიკური ინსპექციიდან: ინჟ. ა. ნ. მანევსკის, ნ. მ. მედვედევს და ი. გ. ბესტაევს, ჭიათურიდან: ს. ს. სახელაშვილს, ა. ნ. გოგავას, ა. ი. მესხს, ფ. პ. საფონოვს და ექიმ კ. ა. კომპანიონს. ტყიბულიდან: ინჟ. დ. ნ. ყიფიანს.

ინჟ. ს. ტურიანი.

ამხ. ნიკოლაიშვილის გამოწვევით შემომაქვს 30 მილიონი მანეთი გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ და მოუწოდებ ჯანმრთელობის კომისარიატიდან გამოწვეულ ამხანაგებს დააჩქარონ თავისი მოვალეობის ასრულება გერმანიის მუშების წინაშე.

ინჟენერი ლენტოვსკი.

შემომაქვს რა გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ ათი მილიონი მანეთი ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გ. მარტიროსოვს, რ. ზალინოვს, პ. გერმანაშვილს, პ. ტალიკაძეს, მ. ოსიპოვს, გ. ჩიხლაძეს, ა. კარგანოვს, ს. გინგაძეს, და გ. აგასოვს.

ილიკო ვახაძე.

ამხ. ა. გოგიჩაშვილის საპასუხოთ უკანასკნელ ვწირამ გერმანიის პროლეტარიატის დახმარების ფონდის გასაძლიერებლათ 3 ვერცხლის მანეთს, ოქროს ბეჭედი გატეხილია და 1 ცალი გატეხილ საყურეს.

პელაგია ზაქრაძისა.

შემოვიდა 29 ოქტომბერს:

პ. ჯანელიძე—75.500.000 მან., ლ. ჩანტლაძე—50 000.000 მან., ს. ტურიანი—40.000 000 მან., ლენტოვსკი—30.000.000 მანეთი, ი. ვასაძე—10.000.000 მან., პ. ზაქრაძისა—3 ვერცხლის მანეთი, 1 გატეხილი ოქროს ბეჭედი და 1 გატეხილი ოქროს საყურე.

სულ: 3 ვერცხლის მანეთი, 1 გატეხილი ოქროს ბეჭედი, 1 გატეხილი ოქროს საყურე და 205 500.000 მანეთი.

წინეთ შემოსული: 267 ჩერვონეცი, 9 ნახ. გირ. ინგ. სტერლინგი, 22 ნახ. ოსმალური ქაღ. ლირა, 1 ოქროს ჯვარი, 9 ოქროს ბეჭედი, 2 ოქროს სამაჯური, 1 ოქროს საგულე, 1 ოქროს საყურე, 1 ვერცხლის ჩაის კოვზი, 34 ვერცხლის მანეთი, 2 ვერცხლის პორტსიგარი, 1 ვერცხლის რგოლი და 6.351.232.000 მანეთი.

შეცდომის გასწორება. ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში დაბეჭდილ. შემოწირულებათა სიაში ს. კამიშინის ნაცვლად უნდა იყოს: ა. ჯაფარიძე (გავა) მანგლისის აღმასკომის თავმჯდომარე. მის მიერ შემოტანილია 7 ვერცხლის მანეთი და ასი მილიონი მანეთი ბონებით და არა ერთი მილიარდი.

ფოსტა. ქუთაისი ვ. კალანდაძეს. ჩვენ განმეორებით ვაცხადებთ დაინტერესებულ პირთა საყურადღებოთ, რომ გაზეთში ვაცხადებთ მხოლოდ იმათ სიას, რომლებმაც უშუალოდ რედაქციაში შემოიტანეს ან გადმოგზავნეს შემოწირულება.

მელთაც გათიშეს ერთ დროს ერთად მოქმედი მარქსისტული ახალგაზრდობა. დასასრულ ორატორი მოუწოდებს ამხანაგებს კვლავ დაუბრუნდენ რევოლუციის რიგებს მსოფლიო კაპიტალიზმის გასანადგურებლად.

ამხ. მეგრელიშვილის მოხსენება და ცხაკაიას სიტყვა.

ამხ. დოლიძის მოხსენების შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. პ. მეგრელიშვილს მოხსენებ. შემდეგ თემაზე: **„საერთაშორისო მდგომარეობა და სოციალისტური რევოლუციის პერსპექტივები“.**

მოხსენების დროს კონფერენციის დარბაზში შემოდის მხცოვანი ბელადი კომუნისტური პარტიისა ამხანაგი **მიხა ცხაკაია.** თავმჯდომარე სთხოვს ამხანაგ ცხაკაიას დაიკავოს საპატიო თავმჯდომარის ადგილი. ყრილობა ოვაციებით და მქუხარე ტაშით ეგებება ამხ. ცხაკაიას, რომელიც საპატიო თავმჯდომარის ადგილს იკავებს. მეგრელიშვილი განაგრძობს მოხსენებას რომლის დასრულების შემდეგ შემოდის შეკითხვები. მომხსენებელი შეკითხვებზე სათანადო პასუხს აძლევს. მოხსენების შემდეგ ამხ. მიხა ცხაკაია საქ. კომპარტიის და მთავრობის სახელით ესალმება კონფერენციას. მის სიტყვას ყრილობა კვლავ მქუხარე ტაშით ხვდება. სხდომა საღამოს სრულ 9 საათზე იხურება.

ბათომის ნავთსადგური

(1923 წლის იანვარი—სექტემბერ*)

მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში ბათომის ნავთსადგურში კაბოტაჟური ნაოსნობით, ე. ი. საბჭოთა რესპუბლიკების და საქართველოს ნავთსადგურებით შემოტანილი ყო 822.642 ფუთი საქონელი, ხოლო ამავე დროში გაიტანეს—158.512 ფუთი. ამნაირად, შემოტანილი საქონელი 654.129 ფუთით აღემატება ბათომიდან გატანილ საქონელს.

აღნიშნული რაოდენობა შემდეგნაირათ ნაწილდება წლის მეოთხედების მიხედვით: (ფუთობით).

	შემოტანა	გატანა	საერთო ბრუნვა	სჭარბობს შემოტანა
იანვარი—მარტი . . .	198,589	67,623	266,212	130,956
აპრილი—ივნისი	269,019	47,291	316,310	221,728
ივლისი—სექტემბერი .	355,033	53,598	408,631	301,435
სულ.	822,641	168,512	991,153	654,129

როგორც ცხრილიდან ვხედავთ, მოტანილ-გატანილ საქონლის საე...ო ბრუნვა უდრის—991,2 ათას ...უთს, და წლის განმავლობაში გა...უდმებით მატულობს. მაგ.; შედარე...ით პირველ მეოთხედთან საერთო ...რუნვა გადიდებულა მეორე მეო...ედში—18,8 პროც., ხოლო მესამე...—53,5 პროც. მთელი ეს მატება ...ნდა მიკუთვნებულ უნდა იყოს მხოლოდ შემოტანისათვის, რადგან გატანა თითქმის გამუდმებით მცირდება. როგორც ცხრილის მეოთხე სვეტიდან ვხედავთ, შემოტანილი საქონელი თითქმის სამჯერ—288,2 პროც. აღემატება გატანილ საქონელს და უარყოფითი ბალანსი გამუდმებით მატულობს წლის მეოთხედიდან მეოთხედამდე. აღნიშნულ საქონლის რაოდენობა შემდეგნაირათ ნაწილდება—შემომტან კუთხეების და საქონლის მთავარ ჯგუფების მიხედვით.

შემოტანა ფუთობით.

	საქართველოდან:	რუსეთიდან:	სულ
საარსებო საგნები	41,467	441,591	483,058
ნედლი და ნახევ. დამ. საქ.	13,882	271,934	285,816
ცხოველები	336	6,623	6,959
ნაწარმოები	5,809	38,559	44.368
დაუსახელებელი საგნები . .	1,098	1,342	2,440
სულ	62,592	760,049	822,641

...ოგორც მოყვანილ ცხრილიდან ...ანს, ბათომში შემოტანილ საქონ...ის უმეტესი ნაწილი შემოტანილა ...უსეთის ნავთსადგურებიდან—760 ...ასი ფუთი, ანუ 92,3 პროც. მთე... შემოტანის, ხოლო საქართველოს ... აფხაზეთის ნავთსადგურებიდან ...7,7 პროც. ანუ 62,6 ათასი ფუთი. ...უსეთიდან შემოტანილ საქონელში პირველი ადგილი უჭირავს საარსებო საგნებს—441.6 ათასი ფუთი, ანუ 58,1 პროც. საერთო შემოტანისა, მეორე ნედლ და ნახევრად დამუშავებულ საქონელს—271,9 ათასი ფუთი, ანუ 35.8 პროც. და მესამეც—ნაწარმოებს 38,6 ათასი ფუთი ანუ 5,1 პროც.

საქართველოსა და აფხაზეთიდან შემოტანილა უმთავრესად საარსებო საგნები—41,5 ათასი ფუთი ანუ 66.2 პროც., შემდეგ ნედლი და ნახევრად დამუშავებული საქონელი—13,9 ათასი ფუთი ანუ22,2 პროც. და ნაწარმოები—5,9 ათასი ფუთი ანუ 9,3 პროც.

გატანილი საქონელი შემდეგნაირად ნაწილდება საქონლის მთავარ ჯგუფების და დანიშნულების ქვეყნების მიხედვით:

(ფუთობით).

	საქართველოში	რუსეთში	სულ
საარსებო საგნები . . .	25,402	73,081	97,483
ნედლი და ნახევ. დამ. საქ.	29,198	19,578	48,776
ცხოველები.	332	809	1,141
ნაწარმოები	10,942	7,553	18,495
დაუსახელებელი . . .	1,411	206	1,617
სულ	67,285	101,227	168,512

ბათომიდან გატანილ საქონლიდან საქართველოს და აფხაზეთის ნავთსადგურებში გატანილა 67,3 ათასი ფუთი ანუ 39,9 პროც., ხოლო რუსეთის და უკრაინის—101.2 ათასი ფუთი ანუ 60,1 პროც.

საქართველოში გატანილ საქონლიდან პირველი ადგილი ეკუთვნის ნედლ და ნახევრად დამუშავებულ საქონელს—29.2 ათასი ფუთი ანუ 43.4 პროც., მეორე საარსებო საგნებს—25 4 ათასი ფუთი ანუ 37.7 პროც. და მესამე ნაწარმოებს—10.9 ათასი ფუთი ანუ 16,3 პროც.

რუსეთში და უკრაინის ნავთსადგურებში გატანილა უმთავრესად საარსებო საგნები—73.1 ათასი ფუთი ანუ 72,2 პროც., შემდეგ ნედლი და ნახევრად დამუშავებული საქონელი—19.6 ათასი ფუთი ანუ 19,3 პროც. და ბოლოს ნაწარმოები—7,6 ათასი ფუთი ანუ 7,4 პროც.

თუ დაუპირდაპირებთ ერთმანეთს მეორე და მესამე ცხრილს, ჩვენ დავინახავთ, რომ რუსეთის და უკრაინის ნავთსადგურებიდან შემოტანილი საქონელი 658.822 ფუთით აღემატება ბათომიდან ამავე ტერიტორიის ნავთსადგურებში გატანილ საქონელს. რუსეთ-უკრაინიდან ყველა დასახელებული საქონელი შემოტანილა უფრო დიდი რაოდენობით, ვიდრე გატანილა ბათომიდან.

რაც შეეხება საქართველოს და აფხაზეთის ნავთსადგურებს, აქ უკვე ბათომიდან გატანა სჭარბობს შემოტანას 4 693 ფუთით. მათ შორის საარსებო საგნები შემოტანილა 16.1 ათასი ფუთი მეტი, ვიდრე გატანილა ბათომიდან, ხოლო ნედლი და ნახევრად დამუშავებული საქონელი და ნაწარმოები გატანილა ბათომიდან უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე შემოტანილა. პირველის გადაჭარბება უდრის 15.3 ათას ფუთს, ხოლო მეორესი 5.1 ათას ფუთს.

ბათომიდან გატანის უმთავრესი საგნები ყოფილა: ნავთი,—21.709 ფ. მათ შორის—საქართველოს ნავთსადგურებში 21.701 ფუთი, დანარჩენი კი რუსეთში; კაკალი—16,578 ფ., საქართველოში—18 ფ; ღვინო—13,834 ფ. საქ—438 ფ; ფორთოხალი—10.092 ფუთი, საქ.—62 ფ; ჩაი 5.776 ფუთი, საქ.—1.533 ფ.; ვაშლი—5.581 ფუთი, სულ რუსეთში: მანქანის ზეთი—2.276 ფ. საქ.—76 ფ; თოკი—2.173 ფ. საქ.—390 ფ. და სურიკი—2.161 ფუთი, მათ შორის საქართველოში—18 ფუთი.

ამავე დროს შემოტანის უმთავრესი საგნები ყოფილა: ფქვილი—291,734 ფ., მათ შორის საქართველოდან—6,087 ფ, ცემენტი—137,180 ფ. სულ რუსეთიდან: მარილი—120,813 ფ., საქ.—4,000 ფუთი; ქვა-ნახშირი—116,000 ფ., სულ რუსეთიდან; შაქარი—7.879 ფ, საქ.—176 ფუთი; მანუფაქტურა—5,871 ფ. მათ შორის საქართველოდან 338 ფუთი და საპონი 1,875 ფ. მათ შორის საქართველოში 11 ფუთი.

ამნაირად, გატანილ საქონლის უმთავრესი ნაწილი ბათომიდან გატანილა რუსეთის და უკრაინის ნავთსადგურებში და ამავე დროს ბათომში შემოტანილ უმთავრეს საგნების უდიდესი ნაწილი შემოდის რუსეთის და უკრაინის ნავთსადგურებიდან.

ლ. ძ.

*) სტატისტიკის ცენტ. სამმართველოს ცნობებით.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(30 ოქტომბერი).

ჩერვონცები — — —	81,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	83,000
ჩეკები —	75,500
დოლარები ეფექტ. —	19,000
ჩეკები	17.500
ოსმ. ქაღ. ლირა	10.000
იტალიური ლირა	560
ფრანგული ფრანკი	840
საბჭ. ფულის ნიშნები	13

მუშკოპის ფასები.

(29 ოქტ.)

პური 1 ხარ.—400 ათ., პური 2 ხარ.—300, ძროხის ხორცი—1 მილ. ცხვრის ხორცი—1400 ათ., შაქარი რაფინადი 3.700 ათ., ფხვნილი შაქარი 2750 ათ., მაკარონი—1100 ათ., კარტოფილი—115 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(29 ოქტომბერი.)

პური 1 ხარ. გირ. 550—600 ათასი, პური 2 ხარ.—350, ძროხის ხორცი—1200, ცხვრის ხორცი—1500, შაქარი რაფინადი 3600, ფხვნილი შაქარი 2850, ბრინჯი ალდაშის 700, მაკარონი 1200, კარტოფილი 125—150.

ბირჟის მიწოდება.

(29 ოქტომბ.)

ალდაშის ბრინჯი. ფხვნილი შაქარი რუს. შაზიამანი ინგლ. კანიფოლი. სპილენძი. ცენტროსოიუზის ჩაი. რუს. მანუფაქტურა. აბრეშუმი. იტალიური მანუფაქტურა. სკიპიდარი ფრანგული. ბორჯომის ქარხნის ჭურჭელი. კაუსტიური სოდა. ასანთი რუს. საპონი. ცემენტი და იტერნიტი. ნოვოროსიის მზესუმზირას ზეთი. რკინეულობა. სალამასი. ელექტროტეხნიკური მასალა.. ქვა-მარილი ნახიჩევანის.

ბირჟის მოთხოვნილება.

გოგირდის სიმჟავე. სალამასი. მზესუმზირას ზეთი. აგური. ყუბანის ფქვილი 1 ხარ. ფხვნილი შაქარი. შაქარი რაფინ. ტექნიკური ცხიმი. აბრეშუმი. ჩაი. ქვა-მარილი ნახიჩევ. ბახმუტის მარილი. ასანთი რუს.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

ტფილისის ბაზრის საერთო განწყობილება: ხორბალის და პურეულის ბაზარზე—განწყობილება სუსტია; შაქრის ბაზარზე—რუს. რაფინადზე მტკიცეა, ცხვნილზე—სუსტია; საპონი ყველა ხარისხის—დაცემულია.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

რადგან ვალიუტის მიწოდება მეტად ნაკლები იყო, ჩერვონცების და უცხო ვალიუტის კურსმა ძლიერ აიწია.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

27 ოქტომბერს ბირჟის გარეშე დადებულია 11 გარიგება, სულ 30665 მან. ჩერვ. თანხისა.

ჩვენი საექსპორტო ვაჭრობა.

მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში (იანვარი—სექტემბერი) ჩვენი საექსპორტო ვაჭრობა შემდეგ სურათს წარმოადგენს: საქართველოს საბაჟოებიდან გატანილია საზღვარგარეთ 25 785 ათასი ფუთი საქონელი, ღირებულებით 12 903 ათ. მან. 1922 წელთან შედარებით გატანილია 13.393 ათასი ფუთით მეტით (109 პროც.), ხოლო ღირებულებით 3 334 ათ. მანეთით მეტი (34 პროც.), ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ შარშანდელი ექსპორტი ღირებულების მხრივ უფრო მაღლა იდგა. უმეტესი წილი ექსპორტისა როგორც ღირებულებით, ისე წონით მოდის ა. წ. მეორე მეოთხედზე (10.807 ათ. ფუთი—6271 ათ. მანეთის). მესამე მეოთხედი (ივლისი—სექტემბერი) თუმცა წონით აღემატება პირველ მეოთხედს, მაგრამ ღირებულებით პირველი მეოთხედი შესამჩნევად სჭარბობს საექსპორტო საქონლის ჯგუფების. მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს ნედლს და ნახევრად დამუშავებულ საქონელს. ამ ჯგუფის საქონელი გაზიდულია 25.484 ათასი ფუთი—11.300 ათ. მანეთისა, ე. ი. წონით 98,8 პროც. და ღირებულებით 87,6 პროც. საერთო გატანიდან. მეორე ადგილი უჭირავს საექსპორტო ჯგუფს „საარსებო საგნებს“, რომლის რაოდენობა წონით ერთი ორად გადიდებულია, (1923 წ.—284 ათ. ფ., 1922 წ.—140), ღირებულებით კი შარშანდელზე ნაკლებია (1923 წ.—1031 ათ. მან., 1922—1846 ათ. მან.)

გადატანილია შემდეგი საგნები, (ათასობით): ნავთი 5904 ფ.—4898 მანეთისა, შავი ქვა 17.638 ფ.—3528 მან., მანქანის ზეთი—1299 ფ.—1286 მან., აბრეშუმი (ყაჭი) 17 ფუთი—603 მ., ძირტკბილა 478 ფ.—511 მ., თამბაქო—64—540 მ., სიმინდი 211—150 მან. სხვადასხვა სახელმწიფოთა შორის, სადაც არის გატანილი ჩვენი საექსპორტო საქონელი, პირველი ადგილი ეკუთვნის ამერიკას, რომელმაც გაიტანა 5613 ათ. ფუთი, თითქმის 22 პროც. საერთო გატანისა; მეორე ადგილი უჭირავს ოსმალეთს—(სტამბოლს) 18 პროც.), მერე ინგლისს (16,5 პროც.), და სხვ.; ღირებულებით კი პირველობა ეკუთვნის სტამბოლს (39,5 პროც), საიდანაც იგზავნება ევროპაში, ოსმალეთში, ამერიკაში და სხვ.

უმეტესი ნაწილი საექსპორტო საქონლისა ღირებულების მხრივ იგზავნება ფოთის ნავთსაგურიდან. აქედან იზიდება თითქმის მთლად ჭიათურის შავი ქვა. ღირებულებით პირველი ადგილი უჭირავს ბათომს, (ნავთი და ნავთის ნაწარმოები), დანარჩენი საბაჟოებით (ანაკლია, სოხუმი და სხ.) გატანა უმნიშვნელოა.

კოოპერაცია

ცენტროსოიუზის 25 წლის იუბილე

5 ნოემბერს შესრულდება 25 წლისთავი ყოფილ მოსკოვის სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის, ეხლა ცენტროსოიუზის დაარსებიდან. რამდენადაც მეფის სასტიკი რეჟიმის დროს კავშირი ნელი ნაბიჯით და მძიმე პირობებში ვითარდებოდა, იმდენად პროლეტარიატის ხელისუფლების ხანაში იგი გაფართოვდა და ეხლა საბჭ. რესპუბლ. კავშირის სამეურნეო აღმშენებლობის მძლავრ იარაღად გადაიქცა. კავშირის გამგეობას განზრახული აქვს საიუბილეო დღეს გამართოს საზეიმო სხდომა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ფაბ.-ქარხკომების, მუშათა და გლეხთა საბჭოს პარტიის და სხვ. წარმომადგენლები. ამ სხდომაზე გაკეთებული იქნება მოხსენება კოოპერაციის ზოგად ამოცანებზე, მისი მისწრაფების ფინანსიურ მდგომარეობას, კრედიტის, საწევრო შესატანის შესახებ. იუბილეს მნიშვნელობის გასაცნობათ მშრომელთა ფართე მასებისათვის, გამგეობას განზრახული აქვს გამოსცეს ამ დღეს ცალკე საიუბილეო ფურცლები შემდეგ კითხვების გასაშუქებლად: რად არის საჭირო საწევრო წილის (პაის) შეტანა; კოოპერატივთა კავშირების საჭიროება; ვინ და რათ ებრძვის კოოპერაციას; კოოპერაციის სასარგებლო და მავნე წევრები; კრედიტის მნიშვნელობა სასოფლო მეურნეობაში და სხვ.

მეტყავეთა კავშირის სრ. საქართველოს მესამე ყრილობა

21 ოქტ. საღამოს სხდომა.

ცენტ. გამგეობის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელიც უმთავრესად შეეხებოდა ცენ. გამგეობის სუსტს კავშირს ადგილკომებთან და პროვინციებთან, კულტმუშაობის სისუსტეს და სამდივნოს და გამგეობას შორის შეუთანხმებულ მოქმედებას.

მიღებულ რეზოლიუციაში ყრილობას ც. გამგეობიდან აღებული პროფესიონალური ხაზი მიაჩნია სწორად და მის მიერ წარმოებული მუშაობა დამაკმაყოფილებლად. მომავალ ცენტ. გამგეობას წინადადება ეძლევა გააძლიეროს ადგილკომებთან და პროვინციასთან კავშირი, აიყვანოს კავშირის საგანმანათლებლო მუშაობა შესაფერ სიმაღლეზე.

22 ოქტ. დილის სხდომა.

ს. მ. უ. ს. ტყავეულობის მთავარი წარმოების (გლავკოჟი) მოხსენება (ამხ. ავაკოვის მოხსენება).

ამხ. ავაკოვს თავის მოხსენებაში ს. მ. უ. ს. ტყავეულობის მთავარი წარმოების მოქმედების შესახებ, მოჰყავს მთელი რიგი ციფრებისა, რომელიც მოწმობენ საქართველოს სატყავო მრეწველობის ზრდას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას, რაც მომხსენებელის აზრით აიხსნება მუშების რეალური ხელფასის გადიდებით. თავის დროზე მიღებული ზომებით ტყავ. მთავ. წარმოებამ უზრუნველჰყო ტყავეულობის საწარმოები ნედლეულობით, რომლის შესყიდვა დღესაც ჩრდილოეთ კავკასიაში სწარმოებს. თავის მომავალ მუშაობის დროს ტყ. მთავ. წარმოება ეცდება გააფართოვოს წარმოება და ამასთანავე მოიპოვოს გასასაღებელი ბაზარი.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათის დროს ამხანაგები ადასტურებენ სატყავო მრეწველობის წარმოებას და კვალიფიკაციურ მუშათა კადრის შესავსებად საჭიროთ სცნობენ საქარხნო სკოლის დაუყოვნებლივ გახსნას და ახალგაზრდობის წარმოებაში გაწესრიგებას (броня).

მიღებულ რეზოლიუციაში ყრილობა იწონებს ტყავეულობის მთავარ წარმოების მუშაობას, ადასტურებს სატყავო მრეწველობის წინსვლას და ამასთან დაკავშირებით მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კვალიფიკაციურ მუშაკების მოსამზადებლად ყრილობას აუცილებლად მიაჩნია ტყავ. მთავ. წარმოებამ ყოველ ღონისძიებით ხელი შეუწყოს პროფტეხნიკური სასწავლებლის ორგანიზაციას.

22 ოქტომბრის საღამოს სხდომა. უმუშევრობა მეტყავეთა შორის.

დაასურათა რა უმუშევრობა საერთოდ, ამხ. მიქაძე შეჩერდა მეტყავეთა შორის უმუშევრობაზე. სულ უმუშევარ მეტყავეთა რაოდენობა — 500 აღწევს, რომელთაგან 220 — კავშირის წევრია. უმუშევრობა მეტყავეთა შორის გამოწვეულია სატყავო მრეწველობის კონცენტრაციით და საზოგადოება „სამტრუდი“-ს დამქსაქსველი მოქმედებით. უმუშევრობასთან საბრძოლველად ამხ. მიქაძეს საჭიროდ მიაჩნია დაქირავების შესახებ არსებული კანონების ცხოვრებაში დაუყოვნებლივი გატარებისთვის თვალყურის დევნება.

უმუშევრობის შესანელებელი საშუალებები იქნება: მუშათა დაზღვევა, საზოგადო სამუშაოთა მოწყობა და საკავშირო ფონდებიდან დახმარების გაწევა.

მიღებულ რეზოლიუციაში ყრილობა გამოსთქვამს კმაყოფილებას შრ. სახ. კომ. მუშაობის შესახებ შრომის ბაზრის მოწესრიგების დარგში. უმუშევრობის, რაც შეიძლება მალე შესანელებლად, ყრილობას საჭიროთ მიაჩნია კავშირის მიერ შრომის ბირჟის მუშაობაში მონაწილეობის მიღება, ვინაიდან სატყაო მრეწველობის განვითარების გამო უმუშევრობას ხანგრძლივი ხასიათი არა აქვს.

რკინის გზაზე

ტფილისის სადგურზე, პერონზე გასავალ კარებში „ხაფანგია“ დაგებული

(რკინის გზის ადმინისტრაციის საყურადღებოდ)

მკითხველი გაიღიმებს, ვინ დააგო „ხაფანგი“ და ნუ თუ მხეცების დასაჭერი იარაღი ხალხისთვის არის ამუშავებული რკინის გზაზეო. ეს „ხაფანგი“, რასაკვირველია, თავისებური თვისების არის. იქ ფეხის ჩაკვრით არაფერი გეტკინება, მაგიერათ—გეწყინებათ და ჯიბეს შეგიმჩატებს, თუ შიდ რამე გაგაჩნია. ამ თვის 26-ს, ღამის 11 საათზე ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი სადგურზე.

„პირველი კლასის“ ბუფეტიდან პერონზე გავედი. რამოდენიმე წუთის შემდეგ ისევ უკან დავბრუნდი. კარებთან ერთი ვინმე კარანდაშით და ქაღალდით ხელში მეკითხება:

— თქვენი ბილეთი?

— რა ბილეთი?

— პერონის ბილეთი!

— არ მაქვს!

— **გადაიხადეთ ჯარიმა ათ მილიონ ნახევარი მანეთი!**

— ?

— გთხოვთ მალე ფული ამოიღოთ, თორემ ჩეკაში წავალთ.

— რატომ არ მითხარით ადრე, მე არ ვიცოდი, თუ ბილეთი იყო საყიდი. **თქვენ ხომ იმიტომ ხართ ალბათ დაყენებული, რომ მოსთხოვოთ ბილეთი წინასწარ.**

— თქვენ ამ კარში გასული არ შემიმჩნევიხართ.

დიალოგი სწარმოებს ჩემსა და მორიგ მოდარაჯეთ მყოფ ვინმე **გ. გორგაძის** შორის.

საკმაოთ დიდი ხნის მისვლა-მოსვლის შემდეგ სხვადასხვა განყოფილებებში, მე თანხმობას ვაცხადებ, რათა არ დაირღვეს „წესრიგი“, გადავიხადო ჯარიმა, „а там разберут“. გაარჩევს ვინმე თუ არა ამ შემთხვევას—მე არ ვიცი მაგრამ ვინაიდან ბოროტი ენები ლაპარაკობენ, რომ 1) ზოგიერთი დარაჯები **განზრახ არ აფრთხილებენ მგზავრებს,** რომ ბილეთია საჭირო (რათა ამით თავს მოახვიონ ჯარიმის გადახდა), რომ 2) საზოგადოთ მორიგი დარაჯები დაინტერესებული არიან ჯარიმის აკრებაში (პროცენტს იღებენო)—ამიტომ საჭიროა კარებზე გაკრული მაინც იყოს სათანადო განცხადება იმის შესახებ, რომ ბილეთია საჭირო და უბილეთოები დაჯარიმდებიან. წინაამდეგ შემთხვევაში ზოგი არა კეთილსინდისიერი მორიგი დარაჯი თავის სასარგებლოთ გამოიყენებს მგზავრების უცოდინარობას ამ მხრივ. ამით ჩვენ მივაღწევთ იმასაც, რომ მგზავრების აღშფოთებასა და ნერვიულობას ადგილი არ ექნება ასეთ შემთხვევაში.

დაჯარიმებული.

ქრონიკა

— **სახალხო სახლი.** ქალ. აღმასკომმა კომუნალურ განყოფილებას გადასცა 930 მან. და 6 კ. ჩერვონცებით სახალხო სახლის ცეცხლის საქრობ მანქანის შესაკეთებლად.

— **შრომის სკოლები.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა სკოლის გარეშე დარჩენილ ბავშთათვის, შრომის სკოლებთან გახსნას პარალელური კლასები.

— **ქალაქის მე-2 საავადმყოფოს ლაბარატორიის გადაცემა.** თანახმად სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობისა ქალ. აღმასკომმა საჭიროდ სცნო ქალაქის მე-2 საავადმყოფოს ლაბორატორია გადასცეს უნივერსიტეტს.

— **ახალი ბანკები.** ახლო ხანში ტფილისში გაიხსნება ორი ახალი ბანკი. სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო-სამრეწველო.

— **გერმანიის დასახმარებლად.** ძველ სვნაკში და მის თემებში დაარსებული იქნა გერმანიის პროლეტარიატის დამხმარე რაიონული კომიტეტები.

— **საბჭოების არჩევნები.** 1-ლ ნოემბრიდან მთელ საქართველოში დაიწყება საბჭოების ხელ-ახალი არჩევნები.

— **კოდის სამაზრო საბჭოს ყრილობა.** კოდიდან საქ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარემ შ. ელიავამ მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: „კოდის სამაზრო საბჭოს ყრილობამ აგირჩიათ რა თავის პრეზიდიუმის საპატიო თავმჯდომარეთ, მოგესალმებით თქვენ ფუხარა ხალხის მტკიცე დარაჯო და გისურვებთ მის კეთილდღეობას“.

— **სტენოგრაფისტების გამოცდა.** დღეს, საღამოს 5 საათზე, მე-20 ტეხნიკუმის შენობაში (ბებუთოვის ქ. 28) შესდგება საჯარო გამოცდები, იმ პირთა, რომლებმაც დაამთავრეს განათ. კომ. მუშათა ფაკულტეტის სექტორის ქვემდებარე სტენოგრაფიის კურსები გაბელსბერგერის სისტემით.

— **გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა სახლის მოწყობა.** განათ. კომ. არსებულმა მცირე წლოვანთა უფლებათა დაცვის განყოფილებამ კოჯორში გახსნა სახლი, გონებრივათ ჩამორჩენილ ბავშვებისთვის. სახლში მოთავსებული იქნება 35 ბავშვი.

— **პედაგოგიური ინსტიტუტი.** ახლო ხანში ტფილისში განათ. კომისარიატის სასკოლო ჰასაკამდის აღზრდის განყოფილების თაოსნობით გაიხსნება სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის მუშაკთა მოსამზადებელი ინსტიტუტი 60 კაცისათვის.

— **დიდი ხანძარი სოფ. წილკანში** 28 ოქტომბერს ნაშუადღევის 14 საათზე (2 საათზე) გამოურკვეველ მიზეზების გამო სოფ. წილკანს (დუშეთის მაზრა) წაეკიდა ცეცხლი, ჰქროდა ძლიერი ქარი, დაიწვა; ყველა სახლები და ჭირნახული 47 კომლისა, ადგილობრივი მილიცია და ხუთი სოფელი გააფთრებულად მუშაობდა დილის 5 საათამდე. ცეცხლი შეჩერდა, ზარალი აღემატება ოთხას (400) მილიარდ მანეთს. ადამიანთა მსხვერპლი არ არის.

28 ოქტომბერს ღამის 1 საათზე ქ. ტფილისიდან სოფ. წილკანში დასახმარებლად გაემგზავრა ხანძრის მქრობი რაზმი და ტფილისის მილიციის უფროსი ამხ. ხმალაძე.

— **რკინისგზელთა სექცია.** შრომის ბირჟის საქმეების სწორად წასაყვანად და მუშაობის გასაცხოველებლად, რკინისგზელთა სექცია გადატანილ იქნა მადათოვის ქუჩაზე.

— **სამისამართო მაგიდის შემოღება შრომის ბირჟაში.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა უმუშევრებზე სამუშაოს რიგის მისაცემად და და საქმის გასაგებად შემოიღოს სამისამართო მაგიდა.

— **თეთრეულობა პროვინციისათვის.** ჯანმრთელობის კომისარიატმა 1923 წლის განმავლობაში პროვინციის ჯანმრთელობის განყოფილებებს მისცა 120 ზეწარი, 400 ხალათი, 700 საბანი, 220 თეთრი საცვლები და 500 საწოლი.

— **შრომის ბირჟა.** 27 ოქტომბერს აღრიცხვაზე გამოცხადდა—345. ახლად ჩაეწერა—64, სამუშაოზე გაიგზავნა—95 უმუშევარი.

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის კვირის №-ში წერილში „ადგილობრივ ორგანოთა შემოსავალი 1923 წელს“ და სხვ. კორექტურული შეცდომით არის რამოდენიმეჯერ დაბეჭდილი: „კომუნისტური მეურნეობა“. უნდა იყოს ყველგან: „კომუნალური მეურნეობა“.

შემთხვევები.

— **თავის მოწამვლა.** 26 ოქტ. ანტონოვის ქუჩაზე მცხოვრებმა სიმონ ცაბაძემ თავი მოიწამლა. მიზეზი გამოურკვეველია.

— **ქურდობა.** 26 ოქტ. გაქურდეს მოქ. დავით კიკნაძის ბინა (ლისაგორის ქ. № 12) საიდანაც წაიღეს ერთი მილიარდის ნივთები.

— **დაჭრა.** მე-11 სამილიციო უბანში, 20 ოქტ. ბოროტ გამზრახველებმა სასიკვდილოთ დასჭრეს ორი უცნობი მოქალაქე.

— **დუქნის გაქურდვა.** 26 ოქტ. გაქურდეს თედო თიკანაძის დუქანი (პლეხანოვის პრ. № 13) წაღებულ ნივთების რაოდენობა გამოურკვეველია.

— **უბედური შემთხვევა.** 25 ოქტ ღამის 4 საათზე პლეხანოვის პრ. ცხენოსანი ბრიგადის შტაბის ავტომობილმა გაიტანა მოქ. ვიქტორ შარბატოვი, რომელიც უკვე გარდაიცვალა. შოფერი დააპატიმრეს.

ოქტომბრის რევოლუციის 6 წლის თავისათვის

ოქტომბრის ზეიმის წესრიგი

8 ნოემბერს—იაჩეიკების ღია კრებებზე ჯარის ნაწილების თანდასწრებით მოხსენებები შემდეგ თემაზე:

„ოქტომბრის რევოლუციის 6 წლის თავი და გერმანიის ამბები“.

4, 5 და 6-ს მიტინგები წარმოებებში. 6 ს საღამოს ყველა მუშათა, სამხედრო და ახალგ. კომკავშირის კლუბებში მოგონებათა საღამოები, წარმოდგენები, კონცერტები ზედმიწევნით რევოლუციონური შინაარსით.

7-ს დილით—დილის 11 საათზე ალლუმი შოთა რუსთაველის პროსპექტზე.

ალლუმში მონაწილეობას იღებენ: ჯარები, მუშათა ორგანიზაციები, სასწავლებლები, ახალგაზრდათა კომკავშირი და სპარტაკი.

მუშათა ყველა ორგანიზაციები ახალგაზრდათა კომკავშირთან ერთად იკრიბებიან თავიანთ რაიონებში:

1 რაიონი	შეკრების დრო დილის	8 საათი,	გამგზავრების	8 ნახ. საათი.
2 „	„ „ „	8 ნახ. ს.	„	9 „
3 „	„ „ „	8 ს.	„	8 ნახ. „
4 „	„ „ „	9 ს.	„	9 ნახ. „

რაიონებში მიტინგები არ იმართება, რათა არ დაიგვიანონ ალლუმზე. შეკრებილები მწყობრი რიგებით დაიძვრიან დროშებით, მუსიკით და სიმღერით ალლუმის ადგილისაკენ. 1 რაიონი დადგება დაწყებული ახალ მუზეუმთან სახალხო კომისართა საბჭოს პირდაპირ. 2-ე რაიონი ჩერდება პირველის შემდეგ ალექსანდრის ბაღთან, 3-ე რაიონი—მუშათა სასახლესთან და 4-ე რაიონი საქ. კომპარტიის ცეკასთან. ფოსტა-ტელეგრაფის საბ. კომისარიატთან ეწყობიან ყველა სასწავლებლები—უნივერსიტეტი, პოლიტეხნიკუმი, ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, მუშათა ფაკულტეტი, ტეხნიკუმები და შრომის სკოლები.

დილის 10 საათისათვის ყველანი უნდა იყვნენ ალლუმის ადგილას.

7-ს საღამოს ყველა თეატრებში, ცირკებში, კინოებში უფასო სანახაობანი. იმ თეატრებსა და კლუბებში, რომელნიც ცენტრიდან დაშორებული არიან, გაიმართება კონცერტები და წარმოდგენები.

საღამოზე ილიუმინაცია და მაშხალები.

ოქტომბრის დღესასწაულის მომწყობი კომისია.

ამხანაგების მობილიზაცია

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლათ მობილიზაციის წესით იწვევს შემდეგ ამხანაგებს:

1-ლ რაიონისათვის.

1. ლომინაძე, 2. კახიანს, 3. ეგოროვს, 4. სუხიშვილს, 5. სტურუას, 6. ოკუჯავას მ., 7. ჟოჟიკაშვილს, 8. გოლდბაუმს, 9. ლეჟავა ნოეს, 10. ჯულელს, 11. მჟავანაძეს, 12. ვირაპს, 13. ტოროშელიძეს.

მე 2-ე რაიონისათვის.

1. ივანოვ-კავკასიელს, 2. ვრაჩევს, 3. ნაზაროვს, 4. ტაკოევს, 5. მარია ორახელაშვილს, 6. ერქომაიშვილს, 7. ყურულაშვილს, 8. გინზბურგს, 9. მოგილევსკის, 10. გალაქტიონ ნუცუბიძეს, 11. ვარძიელს, 12. პადორინს, 13. კიკნაძე ნიკოს.

მე 3-ე რაიონისათვის.

1. ხანოიანს, 2. ვართაპეტიანს, 3. რასულ-ზადეს, 4. თალიბლის, 5. კონსტანიანს, 6. მარკარიანს ა., 7. მარკარიანს ს., 8. ბუნიატ-ზადეს, 9. პოლისს, 10. გინკინს, 11. ქურიძე ალექსანდრეს, 12. ვართანიანს ა.

მე-4-ე რაიონისათვის.

1. რუბენს, 2. სუტირინს, 3. ოკუჯავას ნ., 4. რუხაძე ლენტორს, 5. თოდრია სილ., 6. კიკნაძეს, 7. ნოვიკოვს, 8. კასიანს, 9. კანდელაკს, 10. სოკოლოვსკის, 11. კანტორს, 12. ცინცაძეს კ.

ყველა ჩამოთვლილი ამხანაგები ვალდებულნი არიან გამოცხადდენ რაიკომების დაძახებისათანავე.

მაზრისათვის მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: ჟვანია, ნასარიძე, ალი-ტაგი-ზადე, გურგენიძე, ვარლამოვი, მ ძარიაშვილი, ივანიანი, ვაშაკიძე, მულიუნესი, სერგეევი, რომელნიც უნდა გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში 4 ნოემბერს.

თბილისის კომიტეტის მდივანი **რუბენი.**

საგიტაციო-საპროპაგანდო განყ. გამგე **ეხხენი.**

საქართველოს მწერალთა მეხუთე კონფერენცია

შაბათს, ოქტომბრის 27-ს, საღამოს 8 საათზე ხელოვნების სასახლეში გაიხსნა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის წევრთა მეხუთე კონფერენცია, რომელსაც დაესწრენ ტფილისში მცხოვრები და პროვინციებიდან ჩამოსული მწერლები. კონფერენცია გახსნა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ და მოუწოდა აერჩიათ პრეზიდიუმი და მდივნები. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: შალვა დადიანი, (თავმჯდომარეთ) ნინო ნაკაშიძე და ს. აბაშელი. მდივნებათ: ვარდოშვილი, შენგელაია და ან. ღვინიაშვილი. თავმჯდომარის ადგილი დაიჭირა შ. დადიანმა და მიმართა კონფერენციას მისასალმებელი სიტყვით და უსურვა მას ნაყოფიერი მუშაობა.

დღის წესრიგში იყო საკითხები: 1) მოხსენება წარსული მუშაობის შესახებ, 2) ანგარიში, 3) კავშირების—სრ. საქართველოს და ახალი მწერლობის—გაერთიანება და საბჭოს არჩევნები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ნ. შიუკაშვილმა, რომლითაც გააცნო დამსწრეთ კავშირის ერთი წლის მუშაობა.

მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: არ. ჰუმბაძემ, პ. საყვარელიძემ. ი. გრიშაშვილმა, ობოლმა მუშამ, კ. კაპანელმა, ს. ქვარიანმა, მ. ჰუმბურიძემ და სხვებმა, რომელთაც აღნიშნეს კავშირის ერთი წლის ნამუშევარის ნაკლი და ღირსება.

ანგარიშები—საბჭოს მოქმედების შესახებ—წაიკითხა კავშირის საბჭოს მდივანმა მიხ. ბოჭორიშვილმა—რაიც მცირე კამათის შემდეგ დამტკიცებულ იქნა.

კავშირების გაერთიანების შესახებ მოხსენება გააკეთა კოტე მაყაშვილმა, რომელმაც გამოიწვია დიდი აზრთა სხვადასხვაობა და კამათი. დიდის ხნის კამათის შემდეგ მიღებულ იქნა საკითხი ახალი მწერლობის კავშირის და სრ. საქ. მწერალთა კავშირების გაერთიანებისა, ამ საკითხს ხმა მისცა 72 წევრმა, თავი შეიკავა—4, წინააღმდეგ მისცა ხმა 5.

ამით დასრულდა ღამის 12 საათზე პირველი სხდომა. მეორე სხდომა მოხმარდა გამაერთიანებელ ბიუროს მოხსენებას და არჩევნებს. ბიუროს მოხსენებაში და ახალ წესდებაში გაერთიანების შესახებ—შეტანილ იქნა ზოგიერთი შესწორებები.

მეორე სხდომას შემოუერთდა საქ. ახალი კავშირი სრული შემადგენლობით, რასაც ყრილობა ტაშით მიეგება.

გრ. რობაქიძემ ხსენებულ კავშირის სახელით წაიკითხა დადგენილება გაერთიანების შესახებ. დიდი კამათი გამოიწვია აგრეთვე საბჭოს რიცხვის 33 წევრით განსაზღვრის საკითხმა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ჰუმბაძემ, იაშვილმა, ტიც. ტაბიძემ, გრიშაშვილმა, კაპანელმა და სხვ. კამათის შემდეგ საკითხი მიღებულ იქნა.

დასასრულ მოხდა არჩევნები—ახალი საბჭოსი, რომლის შემადგენლობა ყრილობამ განსაზღვრა 34 წევრით; ამ რიცხვში შევიდენ საქართველოს დამსახურებული მწერლები და ლიტერატურული ჯგუფების წარმომადგენლები. ამით დასრულდა მეხუთე ყრილობა ნაშუადღევის 4 საათზე.

მუშათა ცხოვრება

რკინის გზის დარაჯებშიც მუშაობენ

არც ჩვენი რკინის გზის დარაჯები რჩებიან უკან ჩვენი მუშების კულტურულ და მეტად მნიშვნელოვან საქმიანობაში. იმათაც კარგად შეიგნეს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფელთან და საერთოდ მის მშრომელ მცხოვრებლებთან დაახლოებას. ამ მიზნით ჩვენი რკინისგზის ტფილისის უბნის დარაჯებმაც აიყვანეს თავის შეფობის ქვეშ სოფ. დუეხი. უკანასკნელი მდებარეობს ტფილისიდან 50 ვერსის მანძილზე. რკინისგზის დარაჯები კულტურული მდგომარეობით შესაფერ საფეხურზე დგანან: მათ აქვთ თავის საკუთარი ძალებით შემდგარი სადრამო სტუდია, აგრეთვე აქვთ მათ საკუთარი „დუხოვოი“ ორკესტრი. დასახელებული კულტურული საშუალებებით საშეფო კომისია, კვირას, 28 ოქტომბერს, გაემგზავრა შეფობაზე აყვანილ სოფელში, სადაც მათ გამართეს წარმოდგენები იმავე სოფლის სასარგებლოდ—მისი კულტურული საჭიროებისა და განვითარებისათვის.

მუშკორი მ. ა.

პასუხი მუშკორ „მხილველს“ მისი წერილის გამო

(იხ. „კომუნისტი“ № 236 და 248)

მუშკორი მხილველი ჩვენ ბრალს გვდებს „ბებიობაში“. ამაყად და აშკარად ვაცხადებთ, რომ ჩვენ „ბებიობას“ კი არა, ნამდვილ „დედობას“ ვიჩენთ, მარა არა მოქ. დანელიანცისადმი, არამედ საქმისადმი. ამ შემთხვევაში ჩვენი საქმე პატარაა. მოკლედ რომ ვსთქვათ: მუშათა და გლეხთა ინსპექციას ჩვენი აზრი მივსწერეთ. ეხლა საქმე მასზეა.

ჩვენ კი ნამდვილად და სინდისიერად ჩვენს მოვალეობას ვასრულებთ და ამაყად ვაღიარებთ, რომ სანამდის ჩვენ აქა ვართ, ბოროტმოქმედებას ადგილი არ ექნება.

გამგე დირექტორი გრ. გოგიტიძე

აღმაშფოთებელი შემთხვევა

(ქალაქის მილიციის საყურადღებოდ)

ქალაქსა და სოფელს შორის კავშირი—მორიგი ამოცანაა საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობისა. მაგრამ ზოგიერთი უპასუხისმგებლო არამზადები თავისი უმგვანო საქციელით არარად აქცევენ ამ დიად იდეიას.

26 ოქტომბერს, დილის 9 საათზე პლეხანოვის პროსპექტზე მივდიოდი. იმ ადგილს, სადაც პიროგოვის ქუჩა და პროსპექტი ერთდებიან მე შორიდან შევამჩნიე, რომ ვიღაც ახალგაზრდა დიდი კამბეჩის სახრეთი უმოწყალოდ სცემდა ვიღაც გლეხს. იქვე იდგა გლეხის ურემი და იმ ახალგაზრდის ორ ადგილიანი მატოციკლეტი. მე სირბილით გავეშურე გლეხის საშველად და ავაზაკის შესაპყრობად. მაგრამ, როგორც კი მომკრა თვალი, შოფერმა ცემას თავი დაანება, ჩახტა მოტოციკლეტში და ისეთი სისწრაფით გაქანა, რომ, ჩემდა სამწუხაროდ, ნომერს ველარ მოვასწარი თვალის მოკვრა. ცემის მიზეზი თურმე ის ყოფილა, რომ ურემი ცოტათი წაკარებია მოტოციკლეტს.

ასეთ აღმაშფოთებელ შემთხვევას ჰქონდა ადგილი არა სადმე, ქვეყნის მივარდნილ კუთხეში, არამედ დედაქალაქის უმთავრეს ქუჩაზე, სადაც, მგონია, ყოველ 100 საჟენზე თითო მილიციონერი სდგას. მხოლოდ საჭიროა ვიცოდეთ, სად იყო ასეთ უწესოების დროს უახლოესი მილიციონერი. მეტი სიფხიზლე სჭირდებათ მილიციონერებს, რომ ასეთ პროვოკატორულ მოვლენებს არ ექნეს ადგილი არავითარ შემთხვევაში. ჩვენ, მუშები, ყოველმხრივ ვცდილობთ ჩვენ ძმებთან, გლეხებთან, შევქმნათ მტკიცე კავშირი და ჩვენი მოღალატე ავაზაკები, ქურდულად ჩვენ წრეებში შემოპარულნი, ხელს გვიშლიან ამაში. ეს კი ყოვლად შეუწყნარებელი და დაუშვებელი მოვლენაა.

მუშკორი ა. ნ.

სადგურ წნორის-წყალის მუშა მოსამსახურეები ეხმარებიან გერმანიის პროლეტარიატს.

ამა წლის 16 ოქტომბერს მოხდა არაჩვეულებრივი შეერთებული კრება. რკინისგზის ლიანდაგის, მოძრაობის და ხეტყის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა, რომელზედაც მომხსენებლად გამოვიდა საუბნო პროფკავშირის წარმომადგენელი, ამხ. ნიკოლაიშვილი, რომელმაც მკაფიოდ და გასაგებ ენაზე გადმოგვცა გერმანიის მშრომელი ხალხის დღევანდელი მდგომარეობა, რომელიც არის გამოწვეული გერმანიაში გაბატონებული კლასის ბურჟუა-კაპიტალისტების შორის გერმანიის მშრომელ პროლეტარიატის დასახმარებლად. სხვათა შორის, მომხსენებელმა სთქვა, რომ გერმანიის მშვიდობიანობის დამყარება მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტურ რევოლიუციაშია, რომელიც ალაგმავს გერმანიის მთავრობაში არა სასურველ პირებს და დაამყარებს მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას.

დღეს გერმანიის მშრომელი მასსა განიცდის საშინელ ნაკლულოვანებას—უსურსათობის მხრივ და იბრძვის საერთო გამარჯვებისათვის, რაშიაც ჩვენ მოვალენი ვართ ძმური ხელი გაუწოდოთ მათ მცირეოდენი დახმარებით მაინც. დაბოლოს მომხსენებელმა მოუწოდა კრებას შეწირვისათვის.

მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ სადგურ წნორის-წყალის ყველა დარგის მუშა-მოსამსახურეებმა მოვისმინეთ რა მოხსენება ამხანაგ ნიკოლაიშვილისა გერმანიის მშრომელ ხალხის მდგომარეობის შესახებ და გაჭირვებაზე, ჩვენ—რიცხვით 150 კაცი ვსწირავთ დღიურ ხელფასს ჯერჯერობით—და თუ საჭიროება მოითხოვს გავაგრძელებთ ქველმოქმედებას მანამდის, სანამ გერმანელი მუშა გამარჯვებას არ მიაღწევს. აგრეთვე ჩვენ მზათა ვართ ყოველივე საშუალება ვიხმაროთ, რათა ხელი შევუწყოთ ამ მძიმე ბრძოლის დროს გერმანიის მუშათა კლასს,—წინააღმდეგ ევროპის მტაცებელ კაპიტალისტების მოტანილ იერიშზე.

ძირს გერმანიის კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციები!

გაუმარჯოს პროლეტარულ დიქტატურას გერმანიაში!“

მუშკორი კინო.

„კომუნისტი“-ს მუშკორებში

ამა წლის 28 ოქტომბერს გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციაში შესდგა ამავე გაზეთის მუშკორთა მორიგი კრება, რომელზედაც ამხ. მალაშხიამ გააკეთა მოხსენება მუშკორთა კლუბის გახსნის შესახებ—7 ნოემბერს და მოუწოდა მუშკორებს აღნიშნონ ეს მუშკორთა ზეიმი სათანადო სპექტაკლის დადგმით კლუბის გახსნის დღეს. ამ ზეიმის ღირსეულად ჩასატარებლად ერთხმად ამორჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა მოამზადოს კლუბის გახსნის დღისთვის რომელიმე პიესა დასადგმელად, სიტყვები, მილოცვები, ლექსები და სხვა. შემდეგ ამხ. მალაშხიამ მუშკორებს დაურიგა რამდენიმე სავარჯიშო თემა, რომლებზედაც მუშკორებმა უნდა და სწერონ შესაფერისი წერილები.

შემდეგ საკითხად დღის წესრიგში იდგა მუშკორთა კავშირის გამგეობის არჩევა. გამგეობაში ხმის უმრავლესობით არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ნიკოლაიშვილი, ბაჟიაშვილი, შინატეხელი, ვარსამაშვილი, იტრიევი, ელიაშვილი და მარიამ გველესიანი. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ ამხ. მაჭავარიანი, ივ. ბალიაშვილი, აკოფოვი, მჭედლიშვილი, კავშირის სარევიზიო კომისიის არჩევის გამო, დადგენილ იქნა გაუქმდეს ურთიერთშორის დამხმარე კასის სარევიზიო კომისია მისი მოვალეობის გამგეობის სარევ. კომისიაზე დაკისრებით.

დასასრულ ამხ. მალაშხიამ წაიკითხა პოპულიარული ლექცია სიტყვიერების თეორიიდან, სადაც ის დეტალურად შეეხო კარგ თხზულებათა ღირსებებს და საერთოდ მხატვრულ და კაზმულ სიტყვის თვისებებს და სხვა.

მიმდინარე საკითხებში დადგენილ იქნა მუშკორთა მორიგი კრებები გაიმართოს კვირის მაგიერ ხუთშაბათობით, საღამოს 7 საათზე.

მუშკორი ა. ნ.

გამრყვნელი პრიტონები უნდა მოისპოს

(ტფილისის აღმასკომის საყურადღებოდ).

19 თებერვლის ქუჩაზე სახლი № 16 ში, მოთავსებულია დუქანი № 6236. ეს დუქანი გარედან დაკეტილია, როგორც ცარიელი. მისგან ქალაქის აღმასკომი არც ქირით სარგებლობს და არც სავაჭროს პატენტით და არც სხვა რაიმე გადასახადით. მაგრამ თუ კი ვინმე ჭიშკარიდან შევა—ეზოში, აქ ნახავს მშვენიერად გაჩაღებულ ვაჭრობას ღვინით, არყით და ბოროტი ენები ამბობენ, „ცოცხალი საქონლითაც“. ამ ფარულ დუქნის გარშემო ცხოვრობენ უმეტეს ნაწილად მუშები და მათი ცოლშვილები, რომელნიც ამ ახალ მოდის პრიტონიდან ცუდს მაგალითს ღებულობენ და ხშირად ამავე ეზოში მცხოვრებლები თვით მუშებიც კი სამწუხაროდ ხშირი სტუმრები არიან ამ პრიტონისა. ამიტომ საჭიროა, ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას ქალაქის აღმასკომმა, რომ რაც შეიძლება მალე აილაგმოს ყოველ ქუჩაში ასეთი საიდუმლო სავაჭროები და დაევალოს იმ ქუჩის მცველ მილიციონერებსაც, რომელნიც ძალიან კარგად ხედავენ ამგვარ სისაძაგლეებს და ვაჭრებთან ძმა-ბიჭობას იჩენენ, და ამ ბოროტების წინააღმდეგ ზომებს არა ღებულობენ, რაც მათ სრულებით არ ეპატივებათ, მიიღონ ყოველივე ზომები ამ პრიტონების პატრონთა ასალაგმავად.

მუშკორი ალ. ბ—შვილი.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

კითხვა: აქვთ თუ არა კანონიერი ძალა იმ ხელშეკრულებათა და შეთანხმებებს დამქირავებელთ და დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეებს შორის, რომელნიც აუარესებენ შრომის კანონების კოდექსის წინააღმდეგ შრომის პირობებს?

პასუხი: დამქირავებელ და დაქირავებულთა შორის წარმოებული ყოველგვარი ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომელიც არ არის შრომის კოდექსის დებულებებზე დამყარებული და აუარესებს შრომის პირობებს, ითვლება უკანონოდ და მას არა აქვს არავითარი ძალა.

კითხვა: აქვს თუ არა სახელმწიფო დაწესებულებას, ან წარმოებას უფლება მოიწვიოს შრომის ბირჟის გარეშე სამუშაოზე მუშა-მოსამსახურე?

პასუხი: ამის უფლება სახელმწიფო დაწესებულებათ და წარმოებათ აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევებში, ა) როდესაც დაწესებულება, ან წარმოება სამუშაოზე მოწვეული პირისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ პოლიტიკურ ნდობას, ან და სპეციალურ ცოდნა-გამოცდილებას, რომელიც დაკავშირებულია მოწვეულის პიროვნებასთან და მისთვის მიჩენილ სამუშაოსთან; ბ) როდესაც შრომის ბირჟა სამი დღის განმავლობაში (მოთხოვნილების პირველ დღიდან დაწყებული) ველარ აწვდის მომთხოვნელ ორგანოს, ან პირს ნამუშაო ძალას (მუშა-მოსამსახურეს).

კითხვა: აქვს თუ არა დამქირავებელს უფლება დაქირავებულ მუშა-მოსამსახურესგან მოითხოვოს იმ გვარი სამუშაოს შესრულება, რომელზედაც ეს უკანასკნელი არ ყავდა მას მოწვეული და რომელზედაც თვით დაქირავებულნი აღარ თანხმდებიან??

პასუხი: ამის უფლება არა აქვს არც ერთს სახელმწიფო დაწესებულება-წარმოებას და კერძო ორგანიზაციას და პირს.

(იხ. კოდექსი შრომის კანონ. თავი 1 მუხ. 4; თ. 2 მუხ. 9; თ. 8 მუხ 86).

ხელოვნება

სახალხო სახლი.

„უნიადაგონი“

კვირას, 28 ოქტომბერს წარმოდგენილ იქნა შალიკაშვილის ოთხ მოქმედებიანი დრამა—„უნიადაგონი“.

ეს პიესა უკვე რამდენჯერმე დადგმული ქართულ სცენაზე და ამიტომ მისი შინაარსის მოყვანით აღარ შევაწუხებ მკითხველს.

იგი აღებულია ქართველი უნიადაგო ინტელიგენციის ცხოვრებიდან და საკმაო დრამატიულ ფერებით არის დახატული მისი საზოგადოებრივი და ოჯახური სიყალბე თუ უბედურებანი.

ქართულმა წრემ ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი გულითადობა და უანგარო სიყვარული ხალხური საქმისა:

პიესა მშვენიერი ხელშეწყობით ჩატარდა.

თაზიშვილმა თავიდან ბოლომდის დახელოვნებით ჩაატარა ყველაზედ პასუხსაგები როლი—ალექსანდრესი.

მშვენიერი იყო ელენეს როლში—ასათიანის ქალი.

მისი სახის ცუღლუტი და გრძნეული გამომეტყველება საუცხოვოდ ახასიათებდა ელენეს ბუნებას, ნამდვილის გატაცებით შესრულა ჯერ ცხოვრებაში გაუხრწნელი ზურას როლი—მეტრეველმა.

ნესტორის როლის დამამშვენებელი იყო—თვით ბარველი.

იგი ყოველთვის იძლევა იმერელის თავისებურად დახასიათებულ ტიპს.

მხოლოდ ნამეტანი სიდინჯე ახასიათებს იმას თამაშს და ეს ვგონებთ ცოტაოდენათ მაინც უნდა გადაჭარბებულ იყოს იმერლის ჩვეულებრივი ბუნებისათვის.

მოხუცი გიტოს როლი უნაკლულოდ და ყველას სამხიარულოდ ჩაატარა—ნინიძემ.

პავლეს როლში ცოტა მოისუსტებდა—კალანდარიშვილი.

ეს რამდენიმედ მაინც დამახასიათებელი როლია და სრულიადაც არ აწყენს ცოტა მეტი უნარის გამოჩენა.

მსახურთა როლი ცოცხლათა და მხიარულად შეასრულეს ყოჩიშვილის ქალმა და ლორთქიფანიძემ.

ლითანიშვილს თითქოს აკლდა ყველა ქალებისაგან გათამამებული მამაკაცის ეხტიბარი.

სხვა დანარჩენიც შესაფერისად ასრულებდენ თავიანთ როლებს და მთელ პიესას ჰქონდენ საამო სანახაობა, უკანასკნელი სოფიას მაინც განსაკუთრებულის გრძნობითა და გატაცებით ჩაატარა ყველამ.

ხალხი საკმაოდ ესწრება, მაგრამ ამ გზით შემოსავალი მაინც პირს ვერ მოსწვდენდავს თეატრის ხარჯებს.

ნუ თუ ქალაქის აღმასკომი, ან განათლების კომისარიატი უყურადღებოდ დასტოვებს წრის გამგეობის თხოვნას—მცირეოდენ დახმარებაზე?

ლელი.

სახელმწიფო ოპერა „რიგოლეტო“.

ოპერის დადგმა ვერავითარ შემთხვევაში დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. მიუხედავათ იმისა, რომ ოპერაში მონაწილეობას ღებულობდენ ისეთი მომღერლები, როგორიც არიან მოქ. პოპოვა (დასის პრემიერი ქალა კოლორატურულ სოპრანოს პარტიებზე), მოქ. კრიჟანოვსკი (ლირიული ბარიტონი პირველ პარტიებზე), მოქ. სტრიჟენოვა (Mezzo soprano) და მოქ. ისეცკი (basso profundo).

პირველ ყოვლისა, დიდი ხანია გამოცხადებული იყო, რომ მანტუის ჰერცოგის პარტიას შეასრულებდა დასის პრემიერი მოქალაქე სარაჯიშვილი და ეს რა თქმა უნდა, დადგმის პლიუსი იქნებოდა. ამ პარტიაში კი გამოვიდა მოქ კავსაძე; ალბათ მისი გამოსვლა არ იყო გათვალისწინებული, რადგან აფიშებზე გამოცხადებული არიან ორივე მსახიობები, სარაჯიშვილიც და კავსაძეც. რატომ არ გააფრთხილეს ამის შესახებ საზოგადოება!

მსახიობს კრიჟანოვსკის ლირიული ბარიტონი აქვს და რიგოლეტოს დრამატიულ პარტიას მომღერალის ხმა არ უდგება. მშვენივრათ, მხატვრულის მხრივ დამთავრებულათ ასრულებს მოქ. კრიჟანოვსკი პარტიის ლირიულ ადგილებს, მაგრამ დრამატიული ადგილები მკრთალია, როგორც ვოკალურ, ისე სცენიურ შესრულების მხრივ. სცენიური გადმოცემა საერთოდ კარგია. ლამაზია მსახიობის მიმიკა და გრიმი.

მოქ. პოპოვა ევროპიულ მასშტაბის პირველ ხარისხოვანი მომღერალია; მას ხმის დამთავრებული ტეხნიკა აქვს, მომღერლის მუსიკალობა ეჭვს გარეშეა. მაგრამ ამ საღამოს ჯილდას პარტიაში მსახიობი ვერ იყო სათანადო სიმაღლეზე.

ჰერცოგის პარტიის შესრულება მოქ. კავსაძის-მიერ არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად იქნეს ცნობილი. პირველ ყოვლისა, მოქ. კავსაძე ამ პარტიაშიც იმეორებს თავის საყვარელ ხერხს—არ ერევა მოქმედებაში, აქ ის სრულებით არ თამაშობს და მღერის ისე, თითქოს კონცერტზე იყოს, ყოველი გამოსვლის წინ ის ელის კაპელმეისტერის ნიშანს. ამას გარდა სიმღერის წესი მიუღებელია თავიდან ბოლომდი. შეუძლებელია სიმღერა „la donne e mobile“-ს ასე შესრულება; კვარტეტში აუცილებელია მუსიკალური ტექსტის დაცვა: რატომ მოქ. კავსაძე სიმღერაში „ლამაზი ქალის გული“ უმატებს რაღაც რულადებს და ფიორიტურებს, რომელიც ტექსტში არ არის. ასეთი იაფი და არა მხატვრული ხერხი სიმღერის დროს ყოვლად დაუშვებელია.

ჰერცოგის პარტიის შესრულება მოქ. კავსაძის-მიერ მოკლებულია მხატვრულ მხარეს, მსახიობს კი საკმაოდ ლამაზი ლირიული ტენორი აქვს; მოქ. კავსაძე შეიძლება სასარგებლო საოპერო ძალად დარჩეს, თუ ის სერიოზულად და დაკვირვებით მოეპყრობა საქმეს.

მშვენიერია მოქალაქე ისეცკი სპარაფუჩილის პარტიაში; სიმღერაც და სცენიური გადმოცემაც მხატვრულ სიმაღლეზეა. მუსიკალურათ მღერის მადალენის პარტიას მოქ. სტრიჟენოვა; მსახიობმა უნდა გააუმჯობესოს პარტიის სცენიური გადმოცემა—ეხლანდელი შესრულება კი პრიმიტიულია.

მოქ. ბრონს თანაბრათ ვერ მიჰყავს ორკესტრი, ალაგ-ალაგ ის ამძიმებს ხმოვანებას.

ჯილდას და რიგოლეტოს დუეტი თავიდან მეტად ჩქარი ტემპით მიდის და ტემპი მხოლოდ შემდეგ ნელდება. ნელი ტემპი კი სრულებით არ შეეფერება ჯილდას და რიგოლეტოს სულიერ განწყობილებას.

მუსიკოსი.

— „ინტერესთა თამაში“. დღეს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ინტერესთა თამაში“ ახალი შემადგენლობით.

პროვინციაში

რაჭის მაზრა

ცრუმორწმუნეობა სოფლად არ არის სავსებით აღმოფხვრილი. ამას წინად სოფ. ტოლის ეკლესიის გალავანში მოხდა კრება. კრებას საკმაო ხალხი დაესწრო. მსჯელობის საგანი იყო ერთი დედაკაცის—ვინმე გაბისიანის საქმე, რომელსაც ბრალს სდებდენ კუდიანობაში, ნახევრად [illegible] ერთი ბავშვის მითითებით. ბავშვის თქმით კუდიანობა აღნიშნულ დედაკაცისა გამოიხატა მრავალ ბოროტ-მოქმედებაში, როგორიც არის მეზობლების დაავადმყოფება, საქონლის გაწყლეტა და სხვა. „ერთი ხის შუა გულში, ამბობს ბავშვი, ზეაღნიშნულ კუდიანს, დამალული აქვს წამლები, რომლითაც ის ვნებს ქვეყანასო, თუ მოჭრით ხეს, წამლებსაც აღმოაჩენთ, მაგრამ იცოდეთ მაშინვე სულს მისცემს ღმერთს ხის პატრონიო“. ხალხი ემუდარებოდა ხის მეპატრონეს-მოგვაჭრევინე ხე და თუ მოკვდები შენ ცოლშვილს უზრუნველვყოფთო, მაგრამ ხის პატრონმა ვერ გაბედა—არ გასწია „რისკი“. კრებაზე დამსწრეთა ნაწილი, რომელთაც სახლში ავადმყოფები უწვათ, ან საქონელი დაეხოცათ, მოითხოვდნენ აღნიშნულ დედაკაცის დადაღვას გახურებული შანთით, ნაწილი მხარს უჭერდა დედაკაცის ბაწრით დაბმას, ნაწილიც წინააღმდეგი იყო. ვინაიდან პირველ კრებაზე შეთანხმება არ მოხდა, ამიტომ კრება გადაიდო შემდეგისათვის. არ ვიცი, რით დაბოლავდა ეს საქმე.

მენშევიკების დროს, ამ სოფელში დაუდაღავთ ერთი დედაკაცი. ამ საქმის შესახებ გამოძიებაც ყოფილა დანიშნული, მაგრამ ადგილობრივ მენშევიკურ ხელისუფლების წარმომადგენლების ცდით, ეს საქმე მიუფუჩეჩებიათ.

კულტურული მუშაობა სოფლად არ სწარმოებს. გაზეთების გავრცელების საქმე სრულიად მოუწესრიგებელია. ლექციები და მოხსენებები იშვიათად იმართება. აღნიშნული „კუდიანის“ ისტორია ნათლად ადასტურებს კულტურულ მუშაობის სისუსტეს. გლეხობა კვირა-უქმე დღეებში კანცელარიისაკენ და დუქნებისაკენ მიეშურება, უფრო ხშირად „ახალ ამბების“ გასაგებად. პარტიულ ორგანიზაციებს თამამად შეუძლიათ გამოიყენონ ეს დღეები ფართო მასებში კულტურულ და პოლიტიკურ მუშაობის საწარმოებლად. საჭიროა მხოლოდ ინიციატივა და ამ საქმეში ცოტა მომზადებულ ამხანაგების ჩაბმა. რაჭის მაზრის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ ამ გარემოებას უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

სოციალ-უზრუნველყოფის კომისარიატმა რაჭის მაზრა მოჰფინა გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტებით. გლეხობა დიდი ენტუზიაზმით შეხვდა კომიტეტების დაარსებას. კომიტეტების ფონდის შესაქმნელად გლეხები ატარებენ ურთიერთ შორის თვით-დაბეგვრას, ალაგ-ალაგ კიდევაც შეჰკრიბეს გადასახადები კომიტეტების სასარგებლოდ; გაიჩინეს საწყობები, მოახდინეს რეგისტრაცია გაჭირვებულ გლეხებისა, ინვალიდებისა და წითელარმიელთა ოჯახებისა, უწევენ დახმარებას შრომით ინვალიდებს, წითელარმიელთა ოჯახებს და სხვა. სოციალ უზრუნველყოფის კომისარიატმა დიდ საქმეს მოჰკიდა ხელი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კომიტეტების დაარსებით, რაჭაში, ისე როგორც სხვაგან, ქრონიკული სიმშილი საგრძნობლად შემცირდება. თავის თავად ცხადია, რომ მარტო ის თანხები, რომლებიც იკრიბება გლეხთა შორის, არ იქნება საკმარისი ფართო მუშაობის საწარმოებლად, საჭიროა აგრეთვე მთავრობის დახმარებაც და რაც, უმთავრესია, კომიტეტებზე საფონდო მიწების რაც შეიძლება დაჩქარებით გადაცემა, კომიტეტების მუშაობის ნაყოფიერება ცხრა მეათედი დამოკიდებულია იმაზე, თუ სოც. უზრუნველ. კომისარიატი რამდენად შესძლებს უშუალო კავშირის გაბმას გლეხთა კომიტეტებთან.

მეთვალყურე.

შინდისის თემი (გორის მაზრა)

13-14 ოქტომბერს, როგორც თვით სოფ. შინდისში, ისე თემის სოფლებში, ფხვენისში, ქვემო-ნიქოზში და ქვემო-ხვითში, ჩატარებულ იყო სასოფლო ყრილობები, თემის ხელისუფლების წარმომადგენლის ამხ. გნოლიძისა და გორის მაზრის აგრონომიულ განყოფილების წარმომადგენლის აგრ. სვიმონიშვილის ხელმძღვანელობით. დღიური წესრიგი იყო შემდეგი: 1) გერმანიის მდგომარეობა; 2) ქართლის მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა და მეხილეთა ყრილობისათვის დელეგატების არჩევა, 3) სკოლების გახსნა, წერაკითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია და პოლიტიკურ წრეთა დაარსება, 4) გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტების მნიშვნელობა და წევრთა ამორჩევა, 5) აღმშენებლობის კომისიების არჩევა; 6) სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მნიშვნელობა.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გნოლიძე. ოთხივე სოფლების მცხოვრებნი მხურვალე თანაგრძნობას უცხადებენ გერმანიის მშრომელ ხალხს და ირჩევენ სამ-სამ პირისაგან დამხმარე კომიტეტებს შეწირულებათა მოსაგროვებლათ. შემდეგ ამხ. სვიმონიშვილის მოხსენების თანახმად, ირჩევენ გორის მეხილეთა ყრილობაზედ დასასწრებლად წარმომადგენლებს. აგრეთვე სასოფლო ყრილობები ადგენენ სკოლების დაარსებას, წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციას და პოლიტიკურ წრის აღდგენას. აღსანიშნავია სოფ. შინდისის მცხოვრებთა სურვილი, სკოლის დაარსების და თავიანთ ხარჯით მასწავლებლის დაქირავების შესახებ.

ყრილობებზე ირჩევენ გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტების წევრებს. აქვე ადგენენ აღდგენილ შეკეთებულ იქნეს ყველა გზები, ხიდები და სხვა, რის გამოც ირჩევენ კომისიებს, სამ-სამ პირს თითო სოფელში.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გნოლიძე, რომელიც იყო გაგზავნილი ამ გამოფენაზე. მოხსენების გამო გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლიუცია. ამასთან აირჩიეს კომისია, რომელსაც ევალება გამოიწეროს სოფლის ხარჯზე საჭირო სასოფლო-სამეურნეო მანქანები, რომელთა მნიშვნელობა განმარტა ამხ. გნოლიძემ.

მაზრის ინფორმატორი.

ჩვენი ფოსტა

არტემ სიხარულიძეს. შემოიარეთ კანტორაში.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 41

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის.

25 ოქტომბერი, 1923 წ.

„ოქტომბრის თვეში შრომის ხელფასის სახელმწიფო მინიმუმის შესახებ“.

1. ს. ს. ს. რ. ტერიტორია ადგილობრივ ცხოვრების პირობების მიხედვით დაიყოს ორ სატარიფო ზოლად: 1-ლ ზოლს (100 პროც.) მიეკუთვნოს ქალაქები—ტფილისი, ბათომი (აჭარისტანი), სოხუმი (აფხაზეთი), ფოთი, ბორჯომი, ტყიბული და მაზრები—რაჭისა და ლეჩხუმისა, მე-2-ე ზოლს (90 პროც.) მიეკუთვნოს საქართველოს რესპუბლიკის დანარჩენი ტერიტორია.

2. დაწესდეს ოქტომბრის თვეში საქართველოს ს. ს. რესპუბლიკისათვის შრომის ხელფასის მინიმუმი 1-ლ ზოლისათვის—44.800.000 მან. (ორმოცდა ოთხი მილიონი რვაასი ათასი მანეთი), მეორე ზოლისათვის—40.320.000 (ორმოცი მილიონი სამას ოცი ათასი მანეთი). ცხრილში შეფარდება წესდება 1: 5-თან.

3. ამა დადგენილების მეორე მუხლში დაწესებული განაკვეთები ნორმალურ სამუშაო დროისათვის წარმოადგენს თვიურ გასამრჯელოს სავალდებულო მინიმუმს, რომლის ნაკლების მიცემის უფლება არა აქვს არც ერთ სახელმწიფო და კერძო წარმოება-დაწესებულებას.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი ლ. დუმბაძე.

საერთო-საორგანიზაციო განყოფ. გამგე ლ. ქურდოვანიძე.

დამატება. სატარიფო ცხრილი შრომის ხელფასის სახელმწიფო მინიმუმისა (1000 მანეთებში ა | წ. ფულის ნიშნებით).

სარისხი	1-ლი ზოლი	მე-2-ე ზოლი
1	44,800	40,320
2	53,760	48,384
3	62,720	56,448
4	71,680	64,512
5	80,640	72,576
6	89,600	80,640
7	98,560	88,704
8	107,520	96,768
9	120,960	108,864
10	134,400	120,960
11	143,360	129,024
12	156,800	141,120
13	165,760	149,184
14	179,200	161,280
15	192,640	173,376
16	206,080	185,472
17	224,000	201,600

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის საერთო-საორგან. განყოფილების გამგე ლ. ქურდოვანიძე.

დადგენილება № 42

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

25 ოქტომბერი, 1923 წ.

თანახმად ა | წ. სახალხო კომისართა საბჭოს ა | წ. 14 ივნისის დადგენილებისა, ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაწესდეს ოქტომბერში საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სახელმწიფო და სახელმწიფოდან რესურსების მიმღებ ყველა წარმოება-დაწესებულებებში შრომის ხელფასის მაქსიმუმი 1.680 მილიონი მანეთი (ერთი მილიარდი ექვსას ოთხმოცი მილიონი მანეთი), ე. ი. 150 საქონლის მანეთი 11.200.000 საქონლის მანეთის ფასობის კვალობაზე.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნულ მაქსიმუმის შრომის ხელფასში შედის შრომის დაჯილდოების ყველა სახეები; მათ რიცხვში ჯამაგირი, ზედმეტი მუშაობის, შეთავსების, საკონსულტაციო ჯილდო და სხვ.

შენიშვნა. მაქსიმუმის ანგარიშში არ შედის მხოლოდ ჯილდო ცალკე ლიტერატურული, მეცნიერული, არტისტიული, გამომგონობის და მხატვრული [illegible] აგრეთვე ტანტიემა.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი ლ. დუმბაძე.

საერთო-საორგანიზაციო განყოფ. გამგე ლ. ქურდოვანიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

—საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის IV-ე რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 30 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, ქალაქის აღმასკომის ყ. ქალაქის გამგეობის დარბაზში შესდგება საქართველოს კომპარტიის 4 რაიკომის **პარტიული კონფერენცია.**

ყველა არჩეულ დელეგატების დასწრება კონფერენციაზე სავალდებულოა პარტიული დისციპლინის წესის მიხედვით საღამოს სრულ 5 საათზე.

რაიკომის პრეზიდიუმი

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი** იწვევს ტფილისის კომიტეტის შენობაში არა უგვიანეს ა. | წ. 31 ოქტომბრისა ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს 1923 წ. სრულიად საქართველოს პარტიულ აღწერის გასავლელათ.

საქართველოს კომპარტიის იმ წევრებისა და კანდიდატების ყველა საქმეები, რომელნიც არ გაივლიან აღწერას და ამისთვის არ ექნებათ საპატიო მიზეზები, გადაცემულ იქნება საკონტროლო კომისიაში პარტიულ სასჯელის დასაწესებლათ.

1-ლი რაიკომი:

უჯრედი № 1—იასეიშვილი გიორგი, უჯრედი № 2—ვირაპი, უჯრედი № 2—მანჯავიძე ალექსანდრე, უჯრედი № 20—აღლაძე ვლასიგერ, უჯრედი № 11—მაღრაძე ზალვა.

მე-2-ე რაიკომი

უჯრედი № 2—იონესიანი შიგა, უჯრედი № 2—კალანდაძე გიორგი, უჯრედი № 2—მირიმანოვა ანნა, უჯრედი № 7—ძიძიგური ილარიონ. უჯრედი № 11—კალანტაროვი ივანე, უჯრედი № 20—თუმანიანი მისაკ. უჯრედი № 20—ჭიაბრიშვილი ზაქარია, უჯრედი № 21—ტირუნოვი არტემ, უჯრედი № 22—ბოგდანოვი ვასილი, უჯრედი № 22—ბერიმენკოვი ალ., უჯრედი № 22—ცაბაძე ვ., უჯრედი № 23—ახვლედიანი კირ., უჯრედი № 23—გეგეშიძე ვალ., უჯრედი № 23—ჯაში ვენიამ, უჯრედი № 23—ქევანაშვილი ქრის., უჯრედი № 23—ლოთარია გიორგი, უჯრედი № 23—მელუა გიორგი, უჯრედი № 23—მაქაცარია არსენ, უჯრედი № 23—ფარცახაძე ივანე, უჯრედი № 23—სულავა თედორე, უჯრედი № 23—ჩიგოგიძე ვასილ, უჯრედი № 33—ჩინაშვილი მიხეილ, უჯრედი № 23—ცხაკაია დომენტი, უჯრედი № 23—სარქისოვი საქულ, უჯრედი № 23—ჩანგულიძე გრიგოლ, უჯრედი № 23—ბაციკაძე სერგო, უჯრედი № 23—ცაგარეიშვილი მიხეილ უჯრედი №—მესტიაშვილი გიორგი, უჯრედი № 23—ხუნდაძე სიმონ, უჯრედი № 23—ფანცულაია ვასილ, უჯრედი № 23—ესკონია აფანასი, უჯრედი № 23—ჯიოკია კალისტრატე, უჯრედი № 26—ჩაილინი ნიკოლოზ, უჯრედი № 27—ჯისევი ვასილ, უჯრედი № 27—საკოვი ნაპოლეონ.

მე-3 რაიკომი.

უჯრედი № 2—ბადიაშვილი ალექსი, უჯრედი № 4—გრიგორიანი არტაშეს, უჯრედი № 4—ტერტერაშვილი არშაკ, უჯრედი № 5—აბას-ოღლი თეიმურაზ, უჯრედი № 5—თალიბლი ბეგიუკ-აღა, უჯრედი № 5—ხანოიანი სარქის, უჯრედი № 12—ამირაღოვ-ნიკიტინი, უჯრედი № 12—სანცოვი ივანე, უჯრედი № 13—არუთინოვი სტეფანე, უჯრედი № 13—პინია პარასკევა, უჯრედი № 14—იაკუბოვი სეიდ, უჯრედი № 17—ხუმარიან გორგინ, უჯრედი № 17—ხუბულაშვილი ნატალია, უჯრედი, № 18—გოგოლაძე ეპიფანე, უჯრედი № 23—კანდელაკი ვასილ, უჯრედი № 18—ჩხეიძე მიხეილ, უჯრედი № 18—მენაბდე გიორგი, უჯრედი № 21—პანტურია ისიდორე, უჯრედი № 24—კვირკველია ვლადიმერ, უჯრედი № 24—ტერ-ყაზაროვი სარქის.

ტფილისის კომიტეტის მდივანი რ უ ბ ე ნ ი.

პროფესიონალური.

განათლების მუშაკთა სახლში.

— დღეს, 30 ოქტომბერს, საღ. 7 ს. გალობის ყველა მასწავლებელთა კრება.

— ხუთშაბათს, 1 ნოემბერს, საღ. 5 საათზე—ქართველ მასწავლებელთა საერთო კრება. საღ. 6 ს. არა-ქართულ სკოლებში ქართული ენის მასწავლებელთა კრება. საღ. 7 საათზე ბუნების მეტყველება-გეოგრაფიის წრის სხდომაა. წაკითხულ იქნება ამხ. პეტრაშევსკის მოხსენება: ბუნების მეტყველების შესწავლის ახალი მეთოდები და მისი პრაქტიკული გამოყენება მოსკოვში და პეტროგრადში (პირადი შთაბეჭდილებანი).

— პარასკევს, 2 ნოემბერს, საღ. 7 ს. ქართულ სკოლებთან არსებულ საბავშვო სახლების ხელმძღვანელთა საერთო კრება.

— ოთხშაბათს, 14 ნოემბერს, საღ. 8 ს. საზოგადოებრივ-მეტყველების წრის სხდომა.

განათლების მუშაკთა სახლის გამგე შ ი უ კ ა შ ვ ი ლ ი.

განცხადებები

აღმასკომის საფინანსო განყოფილება

ამით აცხადებთ ყველა დაწესებულებათა და კერძო პირების საყურადღებოთ, რომ ავტომობილების ძალის შემოწმება სდება ყოველდღე გარდა უქმეებისა აღმასკომის მე-18 ოთახში.

711 2—2

ელექტრონის და სინათლის სამკურნალო საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ ნივთიერებებით ექიმობას საჭიროებენ.

სამკურნალოს სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვ.

ნელიძის. ტფილისი, ჟორდანოვის ქ. № 20. (1252—25—20)

საბავშვო საკონსულტაციო-სამკურნალო კაბინეტი ექიმი ქალის გ. დ. ხანცინის მედიცინის ექიმის ვ. ვ. შენგელიძის

მუდ. კონსულტაციით. მიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 2-დან—4 საათამდე. ძუძუმწოვარ ბავშვთათვის კონსულტაცია—ოთხშაბათობით და შაბათობით. კრუზენშტეინის ქუჩა № 1. (რუსთაველის პრ. კუთხე) ტელ. № 18—14. (46—25—12)

სამკურნალო კაბინეტი ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა

რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა ყოველ დღე 9—1 ს. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

78 25—4

20% შეღავათი

საქართველოს ს. მ. უ. ს. სატყეო ტრესტი „გრუზლეს“

(სახერხი ქარხნები, გრეხილი ავეჯის ფაბრიკა, ხის დამმუშავებელი სახელოსნო, მდინარის და საზღვაო ტრანსპორტი)

აცნობებს ყველა

სახელმწიფო დაწესებულებებს, ტრესტებს და სინდიკატებს. კოოპერატიულ გაერთიანებებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომ ტრესტს აქვს როგორც ცენტრში, ისე რაიონებში, რკინისგზის სადგურებში და სახერხ ქარხნებში

დიდი მარაგი ხე-ტყის მასალების

და ნაწარმოების, როგორიც არის მაგალითად: მაგარი და რბილი შეშა, მორები, ძელები, ფიცრები, რეიკები, „მორბილილები“ და „ბადადკები“ სხვადასხვა სიდიდის და თვისების, ბზა (კავკასიური პალმა) გამოსადეგი უცხოეთში გასაზიდათ, წკეპლები (მუხის და წიფლის) ბოჭკებისა და ეკიპაჟებისათვის, შპალები მუხის, ყარაგაჩის და წიფლის, მაღაროს დაზგები, ტელეფონის ბოძები, გრეხილი ავეჯი (კროვატები, სკამები ვენის და სადგურგლო ნაწარმოები, საწერი და საკანცელარიო მაგიდები, შკაფები, გარდეროპები, ბუფეტები და სხვ.)

სახელმწიფო დაწესებულებებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დახერხილი ხე-ტყის მასალები დაეთმობათ 20 პროც. შეღავათით, ხოლო დანარჩენებს, რომლებიც წაიღებენ არა ნაკლებს ერთი ჩერვონეცის ღირებულებისა, მიეცემათ პრეისკურანტის ფასზე 10 პროც. დაკლებით.

ფასები კონკურენციის გარეშეა: დაკვეთები ხე-ტყის მასალებზე და ნაწარმოებზე მიიღება განუსაზღვრელი რაოდენობით. მოთხოვნილებით საჭიროა მიმართოთ: სერგიევის ქ. № 1, ტელეფონი 13—66. სახერხი ქარხანა, კამოს ქ. № 16. ტელეფონი 6—63. პროვინციებში უნდა მიმართოთ ტრესტის განყოფილებებს.

706 3—3 დირექცია.

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.